# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №18(80) 2014 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 50 თეთრი


## „რთველი-2014“ ძალებს იკრებს



**გარეკახეთში** თანდათან ძალაში შედის შემოდგომა, უფრო მასიურად ჩაღდება „რთველი 2014“. მუნიციპალიტეტის მევენახეები დიდ გვალვებთან და ვაზის დაავადებებთან ბრძოლით გადარჩენილ ყურძენს აბინავებენ, ძირითადში „კახურ მწვანესა“ და „საფერავს“. „რთველი 2014“-ის ცენტრალურ შტაბში ***მუნიციპალიტეტის კოორდინატორის* გია ბუჩაშვილის** ცნობაზე დაყრდნობით 24 სექტემბრის მდგომარეობით სულ მუნიციპალიტეტში მოკრეფილია და ჩაბარდა 800 ტონამდე „საფერავის“ და 700 ტონამდე „კახური მწვანის“ ყურძენი. ყურძნის შესასყიდმა ფასებმა „საფერავზე“ 1,70 ლარიდან 1-80 ლარამდე, „კახურ მწვანეზე“ – 1,20 ლარი შეადგინა. ფასთა ასეთი სხვადასხვაობა გამოწვეულია იმით, რომ წელს ყურძნის დამზადებას 80-ზე მეტი ღვინის მწარმოებელი კომპანია აწარმოებს და ყველას თავიანთი და განსაკუთრებული შესასყიდი ფასები გააჩნია. სულ რთვლის დამთავრებამდე მუნიციპალიტეტში მოსალოდნელია 3000 ტონამდე „საფერავისა“ და 400-500 ტონამდე „კახური მწვანის“ მოსავალი.

როგორც ჩვენთან საუბარში გია ბუჩაშვილმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ღვინის ქარხნებიდან ყურძნის ჩაბარებას შპს „კახეთი-3000“ ახდენდა, რომელმაც შეაჩერა ეს პროცესი ფინანსური პრობლემების გამო.

იმავე 24 სექტემბრიდან მანავის ღვინის ქარხნაში 1.80 ლარად საფერავის მიღება დაიწყო შპს „ბადაგონმა“. რაც შეეხება „რქაწითელის“ ყურძნის ჩაბარებას, ჩვენი რესპოდენტის განცხადებით, მის შესყიდვას 27-28 სექტემბრიდან დაიწყებს სახელმწიფო კომპანია „გრუზვინპრომი“ ბადიაურის ღვინის პირველად ქარხანაში 1 ლარად.

ამის პარალელურად მოსახლეობისგან სხვადასხვა ჯიშის ყურძნის დამზადებას აწარმოებენ სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები. მოსალოდნელია, რომ ყურძნის ჩაბარების საქმეში ზემოხსენებულ ღვინის მწარმოებელ ორგანიზაციებთან ერთად მალე მუნიციპალიტეტის სხვა ღვინის პირველადი გადამამუშავებელი ქარხნებიც ჩაებმებიან.

კარგი დარები და ბარაქიანი შემოდგომა ვუსურვოთ ჩვენს მევენახეებს.

*გ. გაბახიშვილი*







## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

### 16 სექტემბერი, 2014 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* დავით ივანიშვილი** უძღვებოდა.

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში გამგებლის წარმომადგენლებმა მთელი სიმწვავით დასვეს საკითხი ადგილებზე სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებაში არსებულ იმ ხელისშემშლელ პირობებზე, რომლებიც ზოგიერთი წყლის მომხმარებლის მიერ ჩნდება. საქმე ეხება სასმელი წყლის ცენტრალურ მილებსა და საუბნო ონკანებზე თვითნებურად წყლის მილების მიერთებას, რაც იწვევს მოსახლეობის დიდი ნაწილის უწყლოდ დარჩენას და უკმაყოფილებას. მთელ რიგ ტერიტორიულ ორგანოებში გასული საუკუნის 70-იან წლებშია გაყვანილი წყალსადენი, ამასთან გაიზარდა მოსახლეობის კომლთა რაოდენობა და შესაბამისად, მოთხოვნილება წყალზე.

თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შეშით მომარაგების საკითხზე და დიდი დრო დაეთმო „რთველი-2014“-ის ორგანიზებულად ჩატარებისათვის საუბარს.

### 22 სექტემბერი, 2014 წელი

**თათბირს** ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირის დასაწყისშივე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა როსტომ ბაქრაძემ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსებსა და გამგებლის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ განუმარტა „რთველი-2014“-ის ორგანიზებულად ჩატარების გეგმა-გრაფიკი.

ბ-ნმა როსტომმა გამგებლის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

### 26 სექტემბერი, 2014 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. საკრებულოს წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგის საკითხები. „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებზე პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ***იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა* პაატა ხვთისავრიშვილმა.**

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 ნოემბრის №96 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საკითხთა სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა.**

სხდომაზე საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ გაცნობის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ამ ადგილზე მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გიორგი რევაზიშვილის კანდიდატურას.

სხდომაზე ასევე მოისმინეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ საკითხები.

მოსმენილ საკითხებზე საკრებულოს წევრებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების უფროსები

### თეონა ტაველიშვილი



**ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1985 წელს, საგარეჯოში

2002 წელს დაამთავრა საგარეჯოს II საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 2006 წელს დაამთავრა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხით. 2006-2009 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა სამართალმცოდნეობის მაგისტრის ხარისხი.

2004 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის ივნისამდე იყო ამერიკის კვლევის ცენტრის მოხალისე, ადმინისტრატორის ასისტენტი.

2006 წლის აპრილ-ივნისში იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრაქტიკანტი.

2006 წლის ივნისიდან 2007 წლის იანვრამდე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტაჟიორია მინისტრის ბიუროში;

2007 წლის იანვარ-ივლისი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტის სტაჟიორია;

2008 წლის იანვარ-მაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის მეთოდისტია;

2008 წლის ნოემბრიდან 2010 წლის მარტამდე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტია;

2011 წლის იანვარ-აპრილი – დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოების ტრენერია (საგარეჯოს რაიონში);

2011 წლის აპრილ-მაისი – საერთაშორისო მუნიციპალურ იურისტთა (ბეთეზდა, აშშ) სტაჟიორია;

2011 წლის სექტემბერი-2012 წლის მაისი – აშშ-ს ატლანტის შტატის ქ. დეკატურის მერიის სტაჟიორია;

2012 წლის ივლისიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსია.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

### თინათინ ძაბილაშვილი



**საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1963 წლის 22 იანვარს ქ. საგარეჯოში. 1969 წელს შევიდა ქ. საგარეჯოს II საშუალო სკოლაში. 1980 წელს დაამთავრა საგარეჯოს IV საშუალო სკოლა. 1980 წლის აგვისტოში მუშაობა დაიწყო საგარეჯოს საშენმასალათა ქარხანაში მდივან-მემანქანედ. 1980 წლის დეკემბერში გადავიდა სამუშაოდ საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშად. 1981 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1985 წელს. 1985 წლის იანვრიდან განაწილებით დაიწყო მუშაობა ქ. თბილისში საქარხნო რაიონის „რაისურსათვაჭრობაში" საქონელმცოდნედ, სადაც მუშაობდა 1987 წლის თებერვლამდე. 1987 წლის მაისიდან 1981 წლის აგვისტომდე მუშაობდა საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის უფროს ეკონომისტად. 1991 წლის აგვისტოდან 1992 წლის ივნისამდე – საგარეჯოს რაიონის პრეფექტურის მრეწველობისა და პრივატიზაციის განყოფილების ინსტრუქტორად; 1992 წლის 30 ივნისიდან 1994 წლის თებერვლამდე – ადგილობრივი მმართველობის საგარეჯოს გამგეობის ეკონომიკისა და მეწარმეობის განყოფილების უფროსი სპეციალისტია; 1994 წლის თებერვლიდან 1995 წლის აპრილამდე – სახელმწიფო მმართველობის საგარეჯოს რაიონული გამგეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეფორმების, ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების გამგის მოადგილეა; 1995 წლის 18 მაისიდან სასამართლო რეფორმამდე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციულ-სააღმსრულებლო წარმოების ინსპექტორად; 2001 წლის 10 დეკემბრიდან 2006 წლამდე მუშაობდა ქ. საგარეჯოს ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის უფროსად.

2006 წლიდან დღემდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე: იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე. ბოლო ხანს იყო ამავე სამსახურის შესყიდვების განყოფილების გამგე.

### თენგო ივანელაშვილი



**ზედამხედველობის სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** ქ. საგარეჯოში, 1984 წლის 9 ნოემბერს. 1991 წელს შევიდა საგარეჯოს №4 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 2002 წელს. იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ (2006წ) მიენიჭა მშენებლობის კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკა და ექსპერტიზა მშენებელი ექსპერტის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში ბოლო კურსზე სწავლის დროს პარალელურად მუშაობდა შპს „ნიკორაში", შემდეგ „იუნაიტედ კოლორს ბენეტონში" ობიექტის დაცვის ვაიზერად. 2007 წლის აპრილიდან მუშაობდა „ივერია რეფრესმენდში" („პეპსი") წინასწარი გაყიდვების მენეჯერად 2012 წლის 31 დეკემბრამდე. შემდეგ დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსად.

ჰყავს მეუღლე.

### ჯაბა რევაზიშვილი



**განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1985 წლის 27 სექტემბერს

2002-2006 წლებში სწავლობდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე; 2005-2007 წლებში საქართველოს ევროპულ უმაღლეს უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო სამართალმცოდნის კვალიფიკაცია.

2006 წელს მუშაობდა სს „ელიტ-ელექტრონიქსში" მაღაზიის კონსულტანტად, 2006-2008 წლებში – მაღაზიის ოპერატორად, 2008 წელს ჯერ გადაიყვანეს გაყიდვების კოორდინატორად, შემდეგ მაღაზიის მენეჯერად, სადაც მუშაობდა 2010 წლამდე; 2011-2013 წლებში მუშაობდა შპს „კავკასუს მოტორსში" გაყიდვების მენეჯერად; 2012-2014 წლებში მუშაობდა „ვისოლ-ავტო ექსპრესში" სერვის ცენტრის მენეჯერად.

დაოჯახებულია.

### გიორგი ქურდოვანიძე



**ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1984 წელს ქ. საგარეჯოში

საგარეჯოს II საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 2007 წელს დაამთავრა და მიენიჭა სამართალმცოდნის კვალიფიკაცია.

მუშაობდა ფარმაცევტულ კომპანია „ჯიპისი"-ში ექსპედიტორად.

2013 წლის 1 აპრილიდან დღემდე მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარ სპეციალისტად არქიტექტურა-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის დარგში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

### კობა ცხვარიაშვილი



**სამხედრო აღრიცხის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1973 წლის 11 აპრილს ქ. რუსთავში. 1979 წელს შევიდა ქ. რუსთავის საშუალო სკოლაში. 1983 წელს სასწავლებლად და საცხოვრებლად გადმოვიდა საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. 1987 წელს ჩააბარა ლესელიძის სახელობის სამხედრო სასწავლებელში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მხოლოდ 1 წელი ისწავლა და სწავლა გააგრძელა პატარძეულის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1990 წელს.

1990-1991 წლებში სწავლობდა საგარეჯოს №55 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1992-98 წლებში სწავლობდა დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიაში". 1998 წლის შემდეგ ეწეოდა კერძო სოფლის მეურნეობას, ჰქონდა საკუთარი ბიზნესი. 2003 წლიდან ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას. 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შემდეგ გახდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი „ეროვნული საბჭოდან" 2013 წლის 1 თებერვლამდე. ამავე პერიოდიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსად, სადაც მუშაობს დღემდე.

ჰყავს მეუღლე ლია ზუკაკიშვილი და ორი შვილი.

### კახაბერ მარგებაძე



**იურიდიული სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1983 წლის 4 ოქტომბერს ქ. საგარეჯოში. 2001-2006 წლებში სწავლობდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა წარჩინების დიპლომით.

2005-2006 წლებში მუშაობდა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ადამიანის მკვლელობის, ჯანმრთელობის და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანაშემწედ;

2007 წელს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების გამომძიებელია.

2008 წლიდან დღემდე არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი;

### ზურაბ კავთუაშვილი



**შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1959 წელს ქ. თბილისში

1977-1982 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1975-1976 წლებში მუშაობდა საგარეჯოს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის კლუბის დირექტორად; 1976-77 წლებში მუშაობდა საგარეჯოს სოფლტექნიკის გაერთიანებაში მუშად; 1982-83 წლებში იყო საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; 1983 წელს იყო კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის III მდივანი, ხოლო 1983-1986 წლებში I მდივანი; 1986-1987 წლებში სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანია;

1987-90 წლებში მუშაობდა საგარეჯოს რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებლად, ხოლო 1992-2004 წლებში საგარეჯოს რაიონული პროკურორის თანაშემწედ; 2005-2007 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს გამომძიებელია; 2007 წელს მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის კახეთი-ქვემო ქართლის სამმართველოს უფროს გამომძიებლად, ხოლო 2007-2009 წლებში ამავე სამინისტროს სამხედრო პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროს გამომძიებლად; 2009-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს გამომძიებლად.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

### ზაქარია ოტიაშვილი



**სახანძრო და სამაშველო სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** ქ. საგარეჯოში 1970 წლის 22 აგვისტოს. 1977 წელს სასწავლებლად შევიდა საგარეჯოს №2 საშუალო სკოლაში. 1979 წელს სწავლა გააგრძელა №4 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1987 წელს. იმავე წელს სწავლა გააგრძელა საგარეჯოს პოლიტექნიკურ სასწავლებელში მექანიზაციის სპეციალობით. 1988 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, საიდანაც დაბრუნდა 1990 წელს. ამავე წელს მუშაობა დაიწყო საგარეჯოს ხანძარსაწინააღმდეგო რაზმში მეხანძრედ. საგარეჯოს პოლიტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა 1992 წელს. 1997 წელს სამუშაოდ გადავიდა თბილისის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საზედამხედველო ჯგუფის ინსპექტორის თანამდებობაზე. 1998 წელს შეწყვიტა მუშაობა. ამავე წელს სახანძრო სამმართველოდან დაწინაურდა და მიიღო უმცროსი ლეიტენანტის წოდება და სამუშაოდ გადავიდა საგარეჯოს ხანძარსაწინააღმდეგო რაზმში ინსპექტორის თანამდებობაზე. არის უფროსი ლეიტენანტი.

დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და 1 შვილი.

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ახლადდანიშნული წარმომადგენლები

### ნინოწმინდა
### თამარ ბარსეგიანიძე



**დაიბადა** 1969 წელს სოფელ წყაროსთავში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის 90-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის საფინანსო-ეკონომიურ ტექნიკუმში.

2005-2010 წლებში მუშაობდა შპს „ლაზი"-ში კონტროლიორად;

2011-2010 წლებში შპს „ცივში" მუშად;

2012-2014 წლებში იყო ნინოწმინდის რწმუნებულის თანაშემწე;

2014 წლის აგვისტოდან დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად სოფელ ნინოწმინდაში.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

### უჯარმა
### დავით აბელაშვილი



**დაიბადა** 1983 წელს, ქ. რუსთავში. 2000 წელს დაამთავრა ქ. რუსთავის VII საშუალო სკოლა.

2001-2003 წლებში მსახურობდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

2004-2009 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

2011-2014 წლებში მუშაობდა საკონტრაქტო სამსახურში.

2014 წლის სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელია სოფელ უჯარმაში.

ჰყავს მეუღლე და 1 შვილი.

### უდაბნო
### ჯამბულ მარგველანი



**დაიბადა** 1980 წელს მესტიის რაიონში. 1981 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა სოფელ უდაბნოში,სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა.

1998-2003 წლებში სწავლობდა საქართველოს პროფკავშირების უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე;

2006-2007 წლებში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში.

2014 წლის სექტემბრიდან დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად სოფელ უდაბნოში.

უცოლშვილოა.

### დუზაგრამა
### მუხტარ ისმაილოვი



**დაიბადა** 1962 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამაში. 1980 წელს დაამთავრა დუზაგრამის საშუალო სკოლა.

1981-1983 წლებში მსახურობდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

2007-2013 წლებში მუშაობდა სოფელ დუზაგრამის რწმუნებულად.

2014 წლის აგვისტოდან დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად სოფელ დუზაგრამაში.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

### ლამბალო
### მახმუდ ალიევი



**დაიბადა** 1959 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. ლამბალოში.

1976 წელს დაამთავრა იორმუღანლოს საშუალო სკოლა.

1976 წელს ჩააბარა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. განჯის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1982 წელს ზოოტექნიკოსის სპეციალობით.

1977 წელს მუშაობდა სოფელ უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორისტად, 1983 წელს გადაიყვანეს ზოოტექნიკოსად, სადაც იმუშავა 1993 წლამდე.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

### მანავი
### დიმიტრი საბაშვილი



**დაიბადა** 1956 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში.

1973 წელს დაამთავრა მანავის №1 საშუალო სკოლა.

1975-1977 წლებში იმყოფებოდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

1985 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი სპეციალობით ზოოინჟინერი. უმაღლესში სწავლის პერიოდში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სისტემაში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ, 1986 წლიდან მუშაობა დაიწყო „სოფქიმიაში" აგროქიმიური ლაბორატორიის ზოოტექნიკოსად. შემდეგ კი იყო ამავე „სოფქიმიის" გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე.

1993 წლიდან იყო უმუშევარი და ეწეოდა კერძო სოფლის მეურნეობას.

2014 წლის სექტემბრიდან დაინიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად სოფელ მანავში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

### გომბორი
### ნოშრევან ნეკრესელაშვილი



**დაიბადა** 1963 წელს, სოფელ ასკილაურში. 1980 წელს დაამთავრა გომბორის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გომბორის საბჭოთა მეურნეობაში მუშად.

1982-1984 წლებში მსახურობდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

1984 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა გომბორის საბჭოთა მეურნეობაში მძღოლად.

1990-1996 წლებში მუშაობდა შს საგარეჯოს რაიგანყოფილებაში უბნის ინსპექტორად.

1996-2006 წლებში ცხოვრობდა რუსეთში.

2006 წლიდან ეწეოდა კერძო მეურნეობას სოფელში.

2010-2012 წლებში იყო გომბორის რწმუნებული.

2014 წლის სექტემბრიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად სოფელ გომბორში.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

### სათაფლე
### ემზარ გორგილაძე



**დაიბადა** 1972 წელს ხულოს რაიონის სოფელ სხალთაში;

1989 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა.

1989-1991 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად;

1991 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში.

1996-98 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

1998-2002 წლებში არჩეული იყო საგარეჯოს რაიონის საკრებულოს წევრად და ფრაქცია აღორძინების თავმჯდომარედ.

1999 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და ესთეტიკური აღზრდის ფაკულტეტი;

ამჟამად არის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის წევრი და აქტივის კოორდინატორი.

2014 წლის სექტემბრიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ტერიტორიულ ორგანო სათაფლეში (კრასნოგორსკი).

# ინფრასტრუქტურა

## პროგრამა „სოფლის მხარდაჭერა"

## მალე დამთავრდება — — მთავარი ხარისხია



**მუნიციპალიტეტის** ტერიტორიაზე პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის" მიმდინარეობის შესახებ გვესაუბრება ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი* გიორგი ქურდოვანიძე:**

საქართველოს მთავრობის განკარგულებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამის „სოფლის მხარდაჭერის" მიხედვით 69 პროექტი უნდა განხორციელდეს. პროექტების განხორციელება კი კარგა ხანია დაიწყო. მთელ რიგ სოფლებში მიმდინარეობს და ზოგან უკვე დასასრულს უახლოვდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობების აღდგენითი სამუშაოები და სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, საუბნო ონკანების მოწყობა.

კონკრეტულად კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამშენებლო-სარეაბილიტაციო „პოლიგონი" ასე გამოიყურება:

**გომბორში** დამთავრდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობისა და ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლისთვისაც 19117 ლარი იყო გამოყოფილი;

**რუსიანში** დასრულდა სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა (სამუშაოების შესასრულებლად 5154 ლარი იყო გამოყოფილი);

**ვერონაში** დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია (5298 ლარი);

**ვაშლიანში** დასრულდა სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები (2764 ლარი). ასევე, დასრულდა აქ სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა (1500 ლარი. ყველა ზემოთჩამოთვლილ სამუშაოებს ასრულებდა ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური");

**ასკილაურში** სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის 5623 ლარი იქნა გამოყოფილი და ამ სამუშაოებს ინდმეწარმე „ზურაბ დევდარიანი" ასრულებს.

**უჯარმაში** „ლაფიან ხევის" სათავიდან სოფელში შემავალი სასმელი წყლის მილების შეცვლა იყო დღის წესრიგში. მოგეხსენებათ, უჯარმის მოსახლეობა ხაშმში არსებული წყლის სათავიდან იღებს სასმელ წყალს. აღნიშნულ მაგისტრალს 50-წლიანი ასაკი აქვს, ასე, რომ მისი შეცვლის აუცილებლობა დადგა. საამისოდ 18204 ლარი იყო გამოყოფილი და ეს სამუშაოები ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაურმა" შეასრულა.

**პალდოში**, სოფელში არსებულ სასმელი წყლის ქსელზე რეზერვუარის დასამონტაჟებლად 600 ლარია გამოყოფილი. დასრულდა სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვითი სამუშაოები (4133 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური").

**მუხროვანში** წყლის სათავე ნაგებობიდან სოფელში გამოსაყვანი სასმელი წყლის ქსელისათვის მილების შესაძენად 2877 ლარია გამოყოფილი, მაგრამ სამუშაოები ჯერ კიდევ არ დაწყებულა (18 სექტემბრის მონაცემებით). დასრულდა სარწყავი სისტემის (ბასეინის) შემოღობვა (2000 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური");

**კოჭბანში** დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია (5707 ლარი);

**ოთარაანთ კარში** დასრულდა მდინარე გომბორულას ნაპირსამაგრი სამუშაოები (4433 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური").

**სასადილოში** ჯერჯერობით არ დაწყებულა სარიტუალო დარბაზის მშენებლობისათვის სამშენებლო მასალების შეძენა (5358 ლარი);

**გორანაში** დასრულდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და შიდა ქსელის მოწესრიგება (5334 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური").

**იკვლივგორანაში** არ დაწყებულა სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა ქსელის გაყვანა, რომელზედაც 4505 ლარია გამოყოფილი.

**ხაშმში** დასრულდა სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები (32432 ლარი, შპს „სვეტი+" იოსებ სიბოშვილი);

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# ინფრასტრუქტურა

## პროგრამა „სოფლის მხარდაჭერა“

# მალე დამთავრდება — — მთავარი ხარისხია



**დასასრული**

**პატარძეულში** მალე დასრულდება „უსტიაანთ უბანში“ სანიაღვრე არხის მოწესრიგება და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (49450 ლარი, ინდმეწარმე „ნუგზარ ბეჟიტაშვილი“);

**ნინოწმინდის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასრულდა დაწესებულების სამზარეულოს რემონტი (6000 ლარი; ინდმეწარმე „ვასილ ენაგელი“); ასევე დასრულდა აქ სოფლის №14 და №31 ქუჩების სარემონტო სამუშაოები და სანიაღვრე არხების მოწყობა (12000 ლარი) დამთავრდა სავარგულებამდე მისასვლელი გზის ორმული დამუშავება-რეაბილიტაცია (10345 ლარი, ორივე სამუშაო შპს „კავკასიონი-96“ აბრამ სამხთუაშვილმა შეასრულა); სასმელი წყლის გაყვანა დამთავრდა ე.წ. „აჭარელების“ დასახლებაში (12500 ლარი ინდმეწარმე გიორგი ტოპეშაშვილი);

**წყაროსთავში** ინდმეწარმე „სოსო ანუაშვილის“ მიერ მოეწყო და მოწესრიგდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობა. (20019 ლარი);

**გიორგიწმინდაში** სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო მინი სტადიონი (42279 ლარი, ინდმეწარმე „სოსო მარიდაშვილი“), სოფლის ცენტრში მოხდა „დიდების მემორიალის“ აღდგენა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (3000 ლარი);

**ანთოკში** კახეთის გზატკეცილიდან სოფელ ანთოკამდე გზის სარეაბილიტაციო და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს (3226 ლარი); აქ დასრულდა სოფელ ანთოკის რიყიდან სასაფლაომდე საუბნო გზის მოსწორება (2000 ლარი);

**მარიამჯვარში** მიმდინარეობს სოფელ გიორგიწმინდიდან მარიამჯვრამდე გზის მონაკვეთზე დაზიანებული მონაკვეთების მოწესრიგება-რეაბილიტაციის სამუშაოები (4733 ლარი; აღნიშნული ყველა სამუშაოს ინდმეწარმე „ვანო საბაშვილი“ აწარმოებდა და აწარმოებს);

**თოხლიაურში** დასრულდა სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეცვლა-სარეაბილიტაციო სამუშაოები (26000 ლარი); დასრულდა, ასევე, სასმელ წყალზე გამანაწილებლის მოწყობა (494 ლარი, აღნიშნული სამუშაოები შესრულდა ინდმეწარმე „ჯემალ თარიმანაშვილის“ მიერ);

ჯერჯერობით არ დაწყებულა სოფელ სათაფლეს მიკროავტობუსში გაზის მოწყობილობის ჩამონტაჟების სამუშაოები (2500 ლარი); სათაფლეში მიმდინარეობს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწესრიგება და სათავე ნაგებობის მოწყობითი სამუშაოები (3062 ლარი; ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“);

**მანავში** სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (3712 ლარი, ინდმეწარმე „თამაზ ქვლივიძე“) მიმდინარეობს; ასევე, აქ დამთავრდა შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები (48358 ლარი, ინდმეწარმე გიორგი აზარაშვილი“);

**დიდ ჩაილურში** ახლა დაწყებული სასაფლაოს შემოღობვა (15000 ლარი, ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“); არ დაწყებულა აქ სოფლის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები (10509 ლარი);

**პატარა ჩაილურში** „ყავრიანთ წყაროს“ შემოღობვა და სათავის შეკეთება კი კარგა ხანია დასრულდა (11000 ლარი); დასრულებულია სანიაღვრე არხების მოწესრიგება (500 ლარი); შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (14357 ლარი, ყველა სამუშაო ინდმეწარმე „სულხანი მარხვაშვილის“ მიერ შესრულდა);

**კაკაბეთში** დასრულდა „საბას წყლის“ რეზერვუარიდან სოფლამდე და სოფელში სასმელი წყლის ქსელის და საუბნო ონკანების მოწყობა (5112 ლარი, ინდმეწარმე „ნოდარ ხებრელაშვილი);

**ვერხვიანში** დაწყებულია სასმელი წყლის რეზერვუარის რებილიტაცია (3000 ლარი, ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“), დასრულდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში იზოლირებული ოთახის შერემონტება (11610 ლარი, შპს „კახეთის კარიბჭე-2013“);

**ყანდაურაში** დასრულდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (26000 ლარი, ინდმეწარმე „გიორგი ტოპეშაშვილი“); დამთავრდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2 ჯგუფში სარემონტო სამუშაოები (1336 ლარი, ინდმეწარმე „ვანო საბაშვილი“); ზემო ყანდაურაში შესაძენია ორი კულტივატორი H+105, კულტივატორის საბურავები და სათიბი (4493 ლარი);



**ბადიაურში** დასრულდა სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა და შიდა ქსელების მოწესრიგება (30989 ლარი, ინდმეწარმე „თამაზ ქვლივიძე“);

**მზისგულში** დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა და რეზერვუარის სარეაბლიტაციო სამუშაოები (12098 ლარი);

ასევე, დამთავრდა აქ „გმირთა მემორიალის“ რეაბილიტაცია (5000 ლარი, ინდმეწარმე „ნოდარ თედიაშვილი“);

**შიბლიანში** დასრულდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები (1568 ლარი, ინდმეწარმე „ბერდია შათირიშვილი“);

**იორმუღანლოში** 18 სექტემბრისათვის 80%-ით იყო შესრულებული სასმელი წყლის ჭაბურღილის მოსაწყობი სამუშაოები (35000 ლარი, ინდმეწარმე „ოლეგ შენგელია“); არ დაწყებულა (18 სექტემბრისათვის) იორმუღანლოს სასაფლაოს შემოღობვითი სამუშაოები, რომელზედაც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 7383 ლარია გამოყოფილი;

**ქეშალოს** სასაფლაოს ტერიტორიაზე მოეწყო მოსაცდელი (14000 ლარი, ინდმეწარმე „როინი ფირყულაშვილი“); მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი (45185 ლარი, ინდმეწარმე „ოლეგ შენგელია“);

**დუზაგრამაში** დასრულდა სასაფლაოს ტერიტორიაზე მოსაცდელის რეაბილიტაცია (14000 ლარი, ინდმეწარმე „ზაქარია დარისპანაშვილი); და ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია (12374 ლარი, ინდმეწარმე „ავთანდილ ბეგიაშვილი“);

**კალდოში** (დუზაგრამის თემი) დასრულდა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე 4X4 ფართის ოთახის აშენება (10000 ლარი, ინდმეწარმე „ზაქარია დარისპანაშვილი“); ასევე, რეაბილიტირებულია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა (15773 ლარი, ინდმეწარმე „ავთანდილ ბეგიაშვილი“);

**წიწმატიანში** რეაბილიტირებულია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა (26026 ლარი, ინდმეწარმე „ავთანდილ ბეგიაშვილი“);

**ზემო ლამბალოში** სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ჯერ კიდევ ზაფხულში (40000 ლარი, ინდმეწარმე „გივი ანუაშვილი“); ზემო ლამბალოში დამთავრდა სოფლის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა (24293 ლარი, ინდმეწარმე „ვანო იმედაშვილი“);

**ქვემო ლამბალოში** შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას 25963 ლარი მოხმარდა (ინდმეწარმე „დავით სიბოშვილი“); 40000 ლარია გამოყოფილი სოფლის სასაფლაოს შემოსაღობად, მაგრამ ეს სამუშაოები რიგი პრობლემების გამო არ დაწყებულა;

**თულარში** ინდმეწარმე „ვანო იმედაშვილის“ მიერ მოხდა სარწყავი არხის რეაბილიტაცია (35978 ლარი); ასევე, შპს „ელანა“ – რამაზ წერეთლის მიერ შესყიდულ იქნა ჭაბურღილის საქაჩი ნასოსი (1500 ლარი); თულარში დასრულდა ჭალის ცენტრალური გზის მოხრეშვა (25000 ლარი, ინდმეწარმე „დიმიტრი ივანელაშვილი“);

**კაზლარში** სოფლის ცენტრალური და შიდა გზების რეაბილიტაციას 25000 ლარი მოხმარდა (ინდმეწარმე „დავით სიბოშვილი“).

**თულარში** სარწყავი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები (7372 ლარი, ინდმეწარმე „ვანო იმედაშვილი“);

უდაბნოში დასრულდა სარიტუალო დარბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელზედაც გამოყოფილი იყო 18024 ლარი (ინდმეწარმე „ზაქარია დარისპანაშვილი“);

***– რაც შეეხება რეგიონალური განვითარების ფონდს, აქ რა პროექტებია გათვალისწინებული და მათგან რომელი დაიწყო უკვე?***

– დიახ, რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 9 პროექტი განხორციელდება. კონკრეტულად, **სოფელ ჩაილურში** სასმელი წყლის გამოსაყვანად გამოყოფილია 220711 ლარი;

**მანავში** გათვალისწინებულია სასმელი წყლის გამოყვანა არსებული ჭაბურღილიდან და დამატებით ერთი ჭაბურღილის მოწყობა, რისთვისაც აღნიშნული ფონდიდან 314368 ლარია გამოყოფილი;

სოფლების **ლამბალოსა** და **თულარის** დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციისათვის 168308 ლარია გამოყოფილი;

დასრულდა სოფელ **ვერხვიანის** ცენტრალური გზის აღდგენითი სამუშაოები, რომლისთვისაც 662439 ლარი იყო ფონდიდან გამოყოფილი;

**გომბორში** ხევისუბანში ხევზე გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად კი პროექტის ღირებულება 198550 ლარს ითვალისწინებს;

**პატარძეულის** სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელების მოწესრიგებისათვის პროექტის განსახორციელებლად 187190 ლარია გამოყოფილი;

**თოხლიაურის** სათავე ნაგებობის გაბიონის მოსაწყობად 83272 ლარი იყო გამოყოფილი. აქ სამუშაოები უკვე დამთავრდა.

**ნინოწმინდაში** 400 მ³ მოცულობის რეზერვუარისა და 15 კილომეტრიანი შიდა ქსელების შესაცვლელად ფონდის მიერ 155300 ლარი გამოიყო.

**უდაბნოში** მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, რომელიც ფონდმა 305062 ლარით დააფინანსა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების მოცულობის შესრულების ხარისხს ვაკონტროლებთ ჩვენი სამსახურიც და ზედამხედველობის სამსახურიც. აქ უნდა გავითვალისწინოთ უპირველეს ყოვლისა – ხარისხი, რაზედაც პასუხისმგებელია არა მარტო სამუშაოს შემსრულებელი, არამედ თითოეული ჩვენგანიც. წუნდების შემთხვევაში ჯერ მიეთითება შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს გამოსასწორებლად, თუ არა და ექსპერტიზისათვის მივმართავთ შესაბამის სამსახურს, რის შემდეგაც, მისი დასკვნის საფუძველზე მოხდება შესაბამისი რეაგირება.



პრობლემა

# სასმელი წყალი და ჩვენ

## „საგარეჯოში სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდება“

**ბასული** საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ საგარეჯოელებს არც ასეთი გვალვიანი ზაფხული ახსოვთ და არც ასეთი უწყლოობაა (უნებლიედ სოფელ უდაბნოს მცხოვრებნი მახსენდება, თუმცა მათ ყველასთან როგორ შევადარებთ – ზამთარშიც საოცნებო აქვთ წყალი, თოვლის მოსვლას რომ ნატრობენ, იქნებ ხელ-პირი ნორმალურად მაინც დავიბანოთო, რაღა ვთქვათ ზაფხულის თაკარა მზეზე, წვიმის ცვარიც რომ არ ჩამოვარდება უდაბნოში!) მაგრამ სხვა სოფლების მცხოვრებთაგან განსხვავებით აქ, საგარეჯოში ცენტრის ზემოთ მაინც მოდიოდა საუბნო ონკანებში და სასმელი წყლის აღებასაც ახერხებდა ასე თუ ისე ადამიანი. ვინ გვალვას აბრალებს უწყლოობას, ვინ შპს „კანარგო-ჯორჯიას“ მიერ შესრულებულ ბურღვა-აფეთქებით საძიებო სამუშაოებს, ვინ წყლის უყაირათოდ მხარჯველთა მიმართ გამოთქვამს უკმაყოფილებას. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ კი საგარეჯოში სასმელი წყლის დეფიციტის პრობლემის მოგვარებას სულ სხვა ხერხებითა და მუშაობით აპირებს.

სწორედ ამაზე გვესაუბრება ***შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საგარეჯოს სერვის-ცენტრის მენეჯერი* ოთარ ჩალათაშვილი:**

– საგარეჯოში 3500 აბონენტია. წარმოიდგინეთ, რამხელა ფართობს მოიცავს ტერიტორია, სადაც ეს აბონენტები ცხოვრობენ. მოგეხსენებათ, ჩვენ მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას ვემსახურებით, სოფლების მოსახლეობას კი შესაბამისად აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ თანამშრომლები.

ჩვენი კომპანია მიმდინარე წლის სექტემბრიდან იწყებს იმ 6452000 ლარიანი პროექტის განხორციელებას ქალაქის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჩვენი კომპანიის საგარეჯოს სერვის-ცენტრის თითოეული აბონენტის სასმელი წყლით მომარაგება. პროექტი ითვალისწინებს საგარეჯოში არსებულ თითოეულ ქუჩაზე, თითოეულ ჩიხში მცხოვრებ თითოეულ აბონენტამდე სასმელი წყლის მიყვანას – ძველი გაყვანილობის ახლით შეცვლას და დღემდე ვისაც არა აქვს წყალი შეყვანილი საკუთარ ეზოში, ეზომდე მიყვანას. დამეთანხმებით, ეს არ არის პატარა მოცულობის სამუშაო. სამუშაოები 24 თვის მანძილზე უნდა ჩატარდეს. მაგრამ, აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენს აბონენტთაგან, ვგულისხმობ 3500 აბონენტს, მათგან ინდივიდუალურად გაეყვანება სასმელი წყალი 2200 აბონენტს. აქ საუბარია საქართველოს რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის ზემოთ მცხოვრებლებზე. მთლიანად რომ მომხდარიყო სასმელი წყლის მაგისტრალური და ინდივიდუალური ქსელების მშენებლობა 3500 აბონენტზე, საამისოდ 9 მილიონი ლარი იყო საჭირო. ჯერჯერობით ჩვენს კომპანიას ამდენი თანხის გაღება უჭირს. ამასთან გათვალისწინებულია ისიც, რომ აღნიშნული მაგისტრალის ქვემოთ მცხოვრებთა უმეტესობა სასმელი წყლით ჭაბურღილებიდან მარაგდება. ასე, რომ უახლოეს წლებში ჩვენი კომპანია გეგმავს მათთვის სასმელი წყლის ეზომდე მიყვანას.

***– როგორ მოხდება გამრიცხველიანება და რა ეღირება 1 მ³ წყალი?***

– ჯერ მოხდება მთლიანი ქსელების მშენებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცემა ახალი მაგისტრალების, ახალი ქსელების, ინდივიდუალური ქსელის გამოცდის საშუალება და შემდეგ კი დავიწყებთ გამრიცხველიანებას. რაც შეეხება სასმელი წყლის ღირებულებას, მომხმარებელი 1მ³ წყალი 0.50 ლარი ეღირება.

***– როგორც თქვენ თქვით, თითოეულ ქუჩაზე, თითოეულ ჩიხში, თითოეულ მოსახლემდე გაივლის ახალი ქსელები. ეს რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში გამოიწვევს ინფრასტრუქტურის გარკვეულწილად დაზიანებას. ამაზე პასუხისმგებლობას ვინ იღებს?***

– მოგახსენებთ. აქ ყველა ნიუანსია გათვალისწინებული. კარგად იცით, რომ სულ ახლახანს დაიგო მთელ რიგ ქუჩებზე ასფალტის საფარი, ძნელია ადამიანი შეეგუოს მის გადათხრას, მაგრამ ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ დაზიანება მოხდება ძალიან ფრთხილად და დაზიანებულ საფარს პირვანდელ სახეს დავუბრუნებთ. მინდა გითხრათ, რომ ქალაქის ცენტრში დაგებული ქვაფენილი არ დაზიანდება, რადგან ქვაფენილის ქვეშ უკვე ჩაწყობილია 600 მმ დიამეტრის მქონე მილები, რომლებშიც გაივლის სასმელი წყლის მაგისტრალური მილი.

***– 2006 წელს მთელ რიგ ქუჩებზე მოხდა ახალი მაგისტრალური მილის ჩადება (ასე გადაითხარა და ისევ ისე დარჩა ჯანგულაშვილის ქუჩა), შემდეგ გავიდა მამისაშვილის ქუჩით და რუსთაველის ქუჩის გავლით სასმელი წყალი ე.წ. პლასტმასის მილებით ჩაყვანილ იქნა „ხალხურ რესტორნამდე“. ეს ხაზი შედარებით მაინც ახალია...***

– სამაგიეროდ მასზე მიერთებულია და მარაგდება ჩვენი აბონენტთა უმრავლესობა. ასე, რომ ეს მილი მაინც ახლიდან უნდა დაიხვრიტოს. ამიტომ მოხდება მისი ახლით შეცვლა, ამოცვლა.

***– უკანასკნელ ხანს ქალაქის დ. აღმაშენებლის ქ. №21-ის მობინადრეთა ერთი ნაწილი სასმელი წყლის უხარისხობას მიაწერენ თავიანთ ჩივილებს – მუცლის ბერვას და დიარეას.***

– ჩვენ სათავე-ნაგებობებს, წყლის აუზებს ყოველ 24 საათში ერთხელ ვქლორავთ კირიანი ქლორით. ასე, რომ ამ მხრივ გამორიცხულია ამ საკითხით ჩვენი პასუხისმგებლობის დაყენება, მაგრამ, მეორე საკითხია ის, რომ წყალასდენის ქსელები მოძველებულია, კოროზირებულია, მასში ათასი ბაქტერია და მიკრობი ჩნდება დაზიანების შემთხვევაში. ზოგიერთი მილი, რომლითაც ათეულობით ოჯახი სარგებლობს სწორედ მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენურ წერტილებზე დგას, ზოგიერთი საქონლის სადგომის (გომის) ქვეშ გადის. ასე, რომ დაზღვეული ჩვენ არაფრით არ ვართ. სწორედ ამიტომ მიდის ჩვენი კომპანია ამხელა ხარჯების გაღებაზე, დიდი მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად, რომ პასუხისმგებლობა დაეკისროს მას შედეგებზეც და ყველაფერზეც.

***– სასმელი წყლის დეფიციტის დროს, მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკუთარი ბიუჯეტით ავტოცისტერნები იქირავა და სასმელი წყლის ჩამორიგება დაიწყო...***

– ეს მისი კეთილი ნება იყო, მათ სულ ორიოდე სვლა გააკეთეს ამისათვის, შემდეგ კი უკვე (თუმცა, ამის თქმა არც მინდოდა) ჩემი და ჩემი ზოგიერთი თანამშრომლის კეთილი ნებით მოვახდინეთ მოსახლეობის ერთი ნაწილის მომსახურება. თუმცა აქაც იყო პრობლემები, რადგან არც ერთი კომპანია არ ითვალისწინებს ხარჯებს – იქნება თუ არა გვალვიანი ზაფხული, ან ყინვიანი ზამთარი იმ წელს. ამასთან, მოსახლეობამ „დაგვავალდებულა“ სახლში შეგვეტანა წყალი და სამტონიანი ავზებიც შეგვევსო მათთვის. ვიდრე წყლით მომარაგებას გადავწყვეტდეთ, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ბავშვებიანი ოჯახები და ისეთი მოხუცები, რომელთაც წყლის მიმტანი არავინ ჰყავთ... ამდენი გაუგებრობაც აღარ იქნებოდა...

***– მოწმდებოდა თუ არა სასმელი წყლის ხარისხი ამ შემთხვევაში?***

– ჩვენთვის გამგეობას ამ საკითხზე არ მოუმართავს, მაგრამ ჩვენ წყალს ვიღებდით ჭაბურღილებიდან, სადაც ჩვენს მიერ კონტროლდება წყლის ხარისხი.

***– როცა ამხელა ხარჯის გაღებას აპირებს თქვენი კომპანია, ხომ არ სჯობდა, სასმელი წყლის ალტერნატიული წყარო მოგეძებნათ, თუნდაც როგორც ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე ამბობს, ამხელა ხარჯებით შეიძლებოდა სიონის წყალსაცავიდან ახალი მაგისტრალის გამოყვანა საგარეჯოს მოსახლეობისათვის. პრობლემაც მოიხსნებოდა – გვექნებოდა სასმელი წყალი... გარანტიას თუ იძლევა კომპანია, რომ ამხელა მოცულობის სამუშაოების შესრულების შემდეგ, სასმელი წყალი გვექნება საგარეჯოელებს?***

– კი, ამის გარანტია გვაქვს, რადგან დღეს სასმელი წყალი საგარეჯოში სულ ტყუილად იღვრება – არ უფრთხილდება, უყაირათოდ ექცევა მას ჩვენი მოსახლეობა, ან არის ისეთი მრავლობითი დაზიანებები, რომლის შედეგადაც უმისამართოდ იხარჯება წყალი. როცა ძველ გაყვანილობას ახლით შევცვლით, როცა ინდივიდუალური მრიცხველები ამუშავდება, მაშინ ყველაფერი მოწესრიგდება და სასმელი წყალიც საკმარისი იქნება.

***– ვნახოთ!..***

---

## ისიც საინტერესოა,

# როგორ წყალს სვამს სოფლის მოსახლეობა?!



**სასმელი** წყლის სათავეებსა და რეზერვუარებში წყლის დეფიციტის გამო გართულებულია მათთვის სადეზინფექციო-გამწმენდი ღონისძიებების გატარება, რაც ერთგვარად სხვადასხვა დაავადებების გავრცელების საშიშროების წინაპირობაა. თუ როგორ იყო და არის თუ არა დაცული ამ საფრთხისაგან ჩვენი მოსახლეობა და რა ღონისძიებები ტარდებოდა და ტარდება მუნიციპალიტეტში ამ მიმართებით, აღნიშნულ საკითხებზე გვესაუბრება აიპ ***„საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე* ხათუნა ჯანიაშვილი.**

– აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“, – აღნიშნა საუბარში მან, – ახორციელებს კონტროლს რაიონის სოფლებში არსებულ სათავე ნაგებობებსა და მისგან გამომავალ ქსელებზე (გარდა საგარეჯოსი). კერძოდ, ვახდენთ სასმელი წყლის სადეზინფექციო საშუალებების შეძენას და ქსელების და რეზერვუარების რეცხვა-დეზინფექციას.

სულ სასმელი წყლის რეგულირებისა და კვლევის ცენტრში დასაქმებულია 50 თანამშრომელი, აქედან 39 – სასმელი წყლის ქსელების მარეგულირებელი, 11 კი სერტიფიცირებული სპეციალისტია.

სადღეისოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე ბოლო მონაცემებით გვაქვს 45-მდე სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და თითქმის ყველა მათგანი მარაგდება ზედაპირული წყლებით, რომელიც არასასურველია წყალმომარაგების სისტემაში. მოგეხსენებათ, ყველაზე ეფექტურ წყალმომარაგების საშუალებას წარმოადგენს ფენათაშორისი წნევიანი გრუნტის წყლები, რომელიც რაიონის ტერიტორიაზე მხოლოდ ჭაბურღილების სახით გვაქვს, ისიც ელექტროტუმბოების გამოყენებით. ზედაპირული წყალმომარაგების ტიპი ყოველთვის ქმნის პრობლემებს ნალექიანი ამინდის დროს, რადგან ამ დროს წყლის დაბინძურება ხდება გარე ფაქტორებით და წყალი ზოგჯერ საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც ვერ გამოიყენება.

ჩვენი ცენტრის მიერ რეგულარულად თვეში ერთხელ და ზაფხულის პერიოდში უფრო მეტი ინტენსივობით ხდება სასმელი წყლის ნიმუშების აღება და მისი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზების ჩატარება. მოკლე ქიმიურ ანალიზში ვიკვლევთ – წყლის სიხისტეს, ჟანგვადობას, ნიტრატებს, ქლორიდებს, ნარჩენ ქლორს, ფერს, სუნს, გემოს; ბაქტერიოლოგიურ ანალიზში – კოლინდექსს და ბაქტერიების საერთო რაოდენობას. წყლის მაღალი ბაქტერიული დაბინძურების შემთხვევაში ხდება მისი გამოკვლევა პათოგენურ მიკრობებზე (მუცლის ტიფი, სალმონელა, დიზინტერია). ასევე წელს აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექციის მომართვის საფუძველზე მოვახდინეთ საბავშვო ბაღებში არსებული სასმელი წყლის ლაბორატორიული შემოწმება, გამოვლენილი დარღვევების შესახებ ვაცნობეთ დირექციას და შევთავაზეთ სადეზინფექციო საშუალებები, რათა მოეხდინათ იმ რეზერვუარების რეცხვა-დეზინფექცია, სადაც ამის საჭიროება იყო.

***– სულ რამდენი ასეთი შემოწმება გაქვთ ჩატარებული წლის დასაწყისიდან?***

– მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა თითქმის ყველა წყალსადენის ქიმიურ-ბაქტერიული გამოკვლევა, რომელთა შედეგები ეცნობათ შესაბამის სამსახურებს.

***– კერძოდ, რა მდგომარეობა გამოავლინა აღნიშნულმა გამოკვლევებმა?***

– გეტყვით, რომ აღნიშნული შედეგები საკმაოდ არასახარბიელოა, მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინა წლებში სასმელი წყლის კოლინდექსი 3-დან 450-მდე მერყეობდა, მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი 3-დან 93-მდეა, რაც წყლის ხარისხის შედარებით გაუმჯობესებაზე მიუთითებს. იქ, სადაც განსაკუთრებით მაღალი ქიმიური და ბაქტერიული დაბინძურებაა, ვამოწმებთ სათავე-ნაგებობების და რეზერვუარების სან-ჰიგიენურ და სან-ტექნიკურ მდგომარეობას და დამატებით ვახდენთ მათ ქლორირებას, აგრეთვე ვაძლევთ რეკომენდაციებს მისი მოვლა-პატრონობის შესახებ სოფლის რწმუნებულებს. წელს განსაკუთრებით რთული წელი გვქონდა, რადგან გვალვისა და სხვა რიგი მიზეზების გამო დებეტი საკმაოდ შემცირებული იყო, ზოგიერთ სოფელში კი საერთოდ ვერ ვიღებდით სასმელი წყლის ნიმუშებს. სასმელი წყლის დებეტის კლებამ ქლორირებაშიც შეგვიქმნა პრობლემები, რადგან შემცირებული დებეტის დროს სასმელი წყალი ინტენსიურად ვერ მიედინებოდა ქსელებში, რაც თავის მხრივ იწვევს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დაბინძურების მაჩვენებლის მომატებას. დამატებით მინდა გაცნობოთ, რომ წყლის დებეტის კლებაზე განსაკუთრებით გავლენას ახდენს სასმელი წყლის სათავეების ირგვლივ ტყის უმოწყალო ჩეხვა, რადგან მოგეხსენებათ, რომ ტყე განსაკუთრებულ როლს თამაშობს სასმელი წყლის დებეტზე.

რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სათავე ნაგებობების დიდ ნაწილს სჭირდება რეაბილიტაცია, უმეტესობას არა აქვს სანიტარული დაცვის ზონები, თავსახურავებს არა აქვს საკეტები, რაც გარეშე დაბინძურების რისკს ქმნის.

***– რა საშუალებებით ხდება სასმელი წყლის ქსელების დეზინფექცია და რამდენად უსაფრთხოა ისინი ადამიანის ჯანმრთელობისათვის?***

– სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცეტრის მიერ სასმელი წყლის სადეზინფექციოდ ხდება როგორც თხევადი ქლორის, ასევე ქლორიანი კირის შეძენა, როგორც ეს მიღებულია პრაქტიკაში. აღნიშნული სადეზინფექციო საშუალებების შეძენა ხდება შპს „აქვაპოინტში“. თხევადი ქლორი აქვასოლი – არის მეტად ეფექტური სადეზინფექციო საშუალება რეზერვუარებისა და შემკრები ჭების რეცხვა-დეზინფექციისათვის, ხოლო ქლორიანი კირის განზავებული ხსნარით, რომელიც შეიცავს საკმაოდ მაღალი პროცენტის აქტიურ ქლორს (25%-მდე), ვახდენთ ქსელების დეზინფექციას. რეცხვა-დეზინფექციას ახორციელებენ ჩვენი სამსახურის მარეგულირებლები დამხმარეებთან ერთად.

***– ეს მარეგულირებლები თქვენს სამსახურს ექვემდებარებიან თუ სოფლების ადმინისტრაციას?***

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის განკარგულებით მათ საქმიანობაზე კონტროლი და სახელფასო უზრუნველყოფა ჩვენს სამსახურს დაეკისრა.

***– ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 1-15 აპრილის ნომრებში მიცემულ ინტერვიუში თქვენ აღნიშნავდით, რომ პალდოსთან არსებული სარწყავი წყლის სისტემის ერთ მონაკვეთზე გვირაბში, რომლითაც წყალი თბილისის ზღვას მიეწოდება, სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს აღმოაჩინეს მილით ამომავალი სასმელად ვარგისი წყარო. როგორც თქვენ აღნიშნავდით, მისი კოლინდექსი 3-ია, რაც მუნიციპალიტეტის არც ერთ წყაროს არ გააჩნია. რა ბედი ეწია მას და თუ გაიყვანეს იგი მოსახლეობისათვის?***

– ჩემი აზრით ეს სამუშაოები არ ჩატარებულა, თორემ ამის შესახებ უსათუოდ შეგვატყობინებდნენ სამსახურში.

***– იმავე ინტერვიუში თქვენ აღნიშნავდით, რომ დიდ ჩაილურში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იყო მანავის „ცივის მთის“ ძირას მდებარე წყაროდან წყლის გაყვანით, რომელიც თქვენი სამსახურის მიერ სასმელად ვარგისად იქნა მიჩნეული. როგორ გადაიჭრა ეს პრობლემა?***

– ალბათ ეს საქმეც არაა დაწყებული, თორემ ჩვენს სამსახურს უსათუოდ შეატყობინებდნენ სათავე-ნაგებობის მოწყობის თაობაზე მაინც.

***– და, ბოლოს ქ-ნო ხათუნა! ამ ბოლო ხანებში მანავის ე.წ. კორპუსების მაცხოვრებლებს და ალბათ სხვაგანაც, ცისტერნებით მიეწოდებათ სასმელი წყალი. თქვენი სამსახურის მიერ თუ ხდება მისი ვარგისიანობის შემოწმება?***

– წესით ამ წყლის საკვებ პროდუქტად ვარგისიანობაზე შემოწმება რეგულარულად უნდა ხდებოდეს, თუმცა ამის თაობაზე ჯერჯერობით არავის მოუმართავს.

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი*

ბანათლება

# გრანტოსნები

## ნარჩინებულნი და გამარჯვებულნი

### საგარეჯოს IV საჯარო სკოლა

**ნინო** ბასილაშვილმა, დიმიტრი კუჭუაშვილმა და ნინო დიღმელაშვილმა საგარეჯოს IV საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეს. მათი კლასი,რომლის დამრიგებელიც საბუნებისმეტყველებო (ბიოლოგიის) საგნის პედაგოგი ნანა დავითაშვილი იყო, წლების განმავლობაში წარჩინებული სწავლით, კარგი ყოფაქცევით და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის აქტივისტებად მოიხსენიებოდნენ. ნინო ბასილაშვილი სკოლაში არსებულ სამოქალაქო კლუბ „ავანგარდის" პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდობის განვითარების ცენტრ-21"-ის აქტიური ლიდერი, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უცვლელი „ბინადარი" და ყველა იმ ღონისძიების სულისჩამდგმელი ინიციატორი იყო, რაც სკოლაში იგეგმებოდა და ხორციელდებოდა. ასევე, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ



ნუცა ბასილაშვილი

დიმიტრი კუჭუაშვილი და ნინო დიღმელაშვილიც.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ნინო ბასილაშვილმა და დიმიტრი კუჭუაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული მიმართულება აირჩიეს ნომერ პირველ სასწავლებლად, ნინო დიღმელაშვილმა კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო მიმართულება. და, აი, სამივეს გაუმართლა, გაუმართლა და როგორ?! სამივე გამოცდებზე მოპოვებული ქულებით არა მარტო მათთვის სასურველ მიმართულებაზე მოხვდნენ, არამედ 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებაც მოიპოვეს სწავლისათვის. ეს კი რამხელა სიხარულია თავად მათთვის, მათი ოჯახის წევრებისათვის და სიხარულთან ერთად, საამაყო სკოლისათვის.

ვულოცავთ და მორიგ წარმატებებს ვუსურვებთ მათ.



დიმიტრი კუჭუაშვილი

ბანათლება

## იორმუღანლოს საჯარო სკოლა

– **იორმუღანლოს** საჯარო სკოლა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის უდიდესი სასწავლო დაწესებულებაა. ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის აქ 1120-ზე მეტ მოსწავლეს ვითვლიდით, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს აზერბაიჯანელებთან ერთად ქართველი პედაგოგებიც ემსახურებიან. ძირითადში ისინი ჩვენს ბავშვებს სახელმწიფო ქართულ ენას შეასწავლიან, რაც უსათუოდ დაეხმარება მათ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადაპტირებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრების საქმეში, – აღნიშნა იორმუღანლოს საჯარო სკოლაში ყოფნისას ჩვენთან საუბარში ***სკოლის დირექტორმა კაზახ აბდულაევმა,*** – სკოლის დირექციას კარგად აქვს გასიგრძეგანებული ჩვენი ბავშვების მიერ ქართული ენის შესწავლის მნიშვნელობა და ყოველნაირად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც. არ მინდა თავის ქებაში ჩამომერთვას, მაგრამ ქართველ პედაგოგებთან ერთად ჩვენი ამ კუთხით მუშაობის I შედეგები უკვე სახეზეა. სკოლის გასული სასწავლო წლის კურსდამთავრებულებიდან წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დარეგისტრირებული იყო 24 აბიტურიენტი, რომელთაგან 20-მა წარმატებით გადალახა ბარიერი და გახდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი შედეგები ბევრ ქართულენოვან სკოლასაც არა აქვს. ალბათ ასევე გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ამ 20 სტუდენტიდან 8 სწავლების 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსების გრანტი მოიპოვა, რომლითაც ისინი სწავლების მთელ მანძილზე ისარგებლებენ.

***– რამდენადაც ვიცი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები სწავლების უშუალოდ დაწყებამდე სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამას გადიან ქართულ ენაში. პროგრამაც უფასო იქნება მათთვის?***

– რა თქმა უნდა ისინი უფასოდ გაივლიან ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამას, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანელებისთვის, რის შემდეგაც ასევე უფასოდ შეუდგებიან განათლების მიღებას.

***– უფრო ზუსტად ხომ არ შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი სკოლიდან ვინ მიიღო სახელმწიფო დაფინანსების 100%-იანი გრანტი და რომელ სასწავლებელში გააგრძელებენ უფასო სწავლებას?***

– როგორ არა: სულფან მამედოვი, თურან მუსამალიევი, იბრაგიმ იბრაგიმოვი, აისარ მელიქოვა, ვახიდ სულეიმანოვი, ელმინას ჯამალოვა, ინთიკამ ჰუსეინოვი, ვუსალ გუსეინოვი.

ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების დაწყებამდე ასეთ რამეზე ოცნებაც თუ შეეძლოთ აქაურ მოსწავლეებს. ახლა კი ქართული ენის წყალობით ქართველ მასწავლებელთა და სკოლის დირექციის ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი მოსწავლეები ქართულ ენაზე უფასოდ მიიღებენ უმაღლეს განათლებას. მაშინაც, როცა წინა წლებში განათლების მისაღებად აზერბაიჯანში უხდებოდათ წასვლა და უმეტესობას იქვე უხდებოდა სამუშაოდ დარჩენა. ეს მათი ოჯახებისთვის ძალზე დიდი ტვირთი იყო, რადგან იქ სწავლა, საქართველოსთან შედარებით ძვირი ჯდებოდა. აქ კი, აგერ უფასოდ იღებენ ყველაფერს.

– რამდენადაც ცნობილია, თქვენს სკოლას შარშანაც ჰყავდა ამდენი არა,მაგრამ გარკვეული რაოდენობის გრანტოსანი სტუდენტი. ახდენს თუ არა რაიმე გავლენას აღნიშნული ფაქტები სკოლაში ქართული ენის შესწავლის საქმეზე და რა კეთდება თქვენთან საიმისოდ, რომ მომავალში უფრო გაღრმავდეს და დაიხვეწოს ქართული ენის შესწავლის პრაქტიკა?

– ალბათ სადავო არაფერია იმაში, რომ ასეთი ფაქტები მუდამ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს. ამას ჩვენი სტატისტიკაც მოწმობს. თუ წინა წლებში სკოლის ქართული სექტორის თითო კლასში მაქსიმუმ 8-10 მოსწავლე მოდიოდა სასწავლებლად, შარშან ამ სექტორის 1 კლასში 24, წელს კი ერთი მთლიანი კლასი – 25 მოსწავლე დაკომპლექტდა. სულ სადღეისოდ ქართული სექტორის 9 კლასში 150 მოსწავლე სწავლობს. სწავლების მაღალი დონისა და ასეთი შედეგების გათვალისწინებით სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან ჩვენთან სასწავლებლად 15 მოსწავლე გადმოვიდა. სკოლის დირექცია პედაგოგიურ კოლექტივთან შემდეგშიაც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უფრო მეტად გაძლიერდეს სკოლაში ქართული სახელმწიფო ენის – ჩვენი მომავალი თაობების მომავალი წარმატებების გარანტის შესწავლის საქმე და თუ რა ნაყოფს გამოიღებს ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა, ამას უახლოეს მომავალში დავინახავთ.

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი.*

---

**დასასრული. დასაწყისი იხილეთ №17**

## ის, რაც შეიძლება პრობლემა არ იყოს

# პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

***– რომელი მედიკამენტები გამოიწერება რეცეპტის (ფორმა 3) ბლანკზე და რატომ?***

– რეცეპტზე (ფორმა № 3) გამოიწერება II ჯგუფის მედიკამენტები, ჯგუფის მედიკამენტები, რომლებიც სერიოზული პოტენციური გვერდითი (არასასურველი) ეფექტებით ხასიათდებიან, რაც მოითხოვს დოზირების უფრო მკაცრ კონტროლს, ექიმის სპეციალურ მითითებებს, ზოგჯერ კი პერიოდულ ლაბორატორიულ კონტროლს. მათი ჭარბი დოზირების და არასწორი გამოყენების შემთხვევაში, მოსალოდნელია მძიმე გვერდითი მოვლენები და გართულებები. ამიტომ, ასეთი საშუალებების ექიმის დანიშნულების გარეშე გამოყენებისას სავარაუდო არასასურველი ეფექტი შეიძლება სჭარბობდეს მათ სარგებლიანობას.

***– რა სახის საფრთხე ახლავს მედიკამენტების საინექციო ფორმებს, რომლებიც რეცეპტზე (ფორმა 3) გამოიწერება?***

– საინექციო (ნემსით ან სისტემით შესაყვანი) ყველა პრეპარატი გაიცემა რეცეპტით (II ჯგუფი), ვინაიდან: = საჭიროებს დოზირების უფრო ზუსტ რეჟიმს და შეყვანის ადგილის განსაზღვრას ექიმის მითითების შესაბამისად (მაგ.: ერთი და იგივე სამკურნალო საშუალება, სხვადასხვა შემთხვევაში, შეიძლება კეთდებოდეს კუნთებში, ვენაში ან კანქვეშ. თითოეულ შემთხვევაში, უნდა შეირჩეს მედიკამენტის განსხვავებული დოზა, რასაც მხოლოდ ექიმი განსაზღვრავს.

= ძალიან მნიშვნელოვანია ექიმის მითითება ინექციის გაკეთების ტექნიკის თაობაზე (მაგ.: ზოგიერთი ინტრავენურად შესაყვანი პრეპარატი შეიძლება მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული განზავებული სახით გაკეთდეს, ან მისი შეყვანა უნდა მოხდეს ძალიან ნელა; სხვადასხვა პრეპარატი სხვადასხვა ჯგუფის კუნთში კეთდება: ზოგიერთი დუნდულა კუნთებში, ზოგიერთი ბარძაყის კუნთებში, ზოგიერთი წინამხარზე; არ შეიძლება ზოგიერთი კანქვეშ შესაყვანი პრეპარატის კუნთებში ან ინტრავენურად გაკეთება, ან პირიქით (მაგ.: კალციუმის ქლორიდის კანქვეშ ან კუნთში შეყვანამ შეიძლება ქსოვილების გაღიზიანება და ნეკროზი გამოიწვიოს).

= ინექციურ პრეპარატებს ახასიათებთ მოქმედების უფრო სწრაფი დასაწყისი, ისევე როგორც გვერდითი (არასასურველი) ეფექტების განვითარების უფრო სწრაფი გამოვლენა, მათ მიერ გამოწვეული გართულებების მართვა არასწორი დოზირების ან სხვა გვერდითი ეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, უფრო ძნელია!

საინექციო საშუალებების გამხსნელის გამოყენება სიფრთხილეს მოითხოვს (მაგ.: ლიდოკაინის არასწორად გამოყენებისას მოსალოდნელია წნევის დაქვეითება, კრუნჩხვები, ალერგიული რეაქცია);

= ერთი შპრიცით რამდენიმე ნივთიერების შეყვანა, ექიმთან შეუთანხმებლად, არ შეიძლება (შეიძლება შპრიცში არსებული ნივთიერებების შეუთავსებლობის ან ალერგიული რეაქციის მიზეზი გახდეს);

= საინექციო პრეპარატების გამოყენებისას საჭიროა მათ შეყვანას შორის ექიმის მიერ განსაზღვრული დროის ინტერვალის მკაცრი დაცვა, რომლის გარეშეც პრეპარატმა შესაძლოა სწრაფი კუმულაცია (დაგროვება) განიცადოს და მძიმე მოწამვლა გამოიწვიოს.

= საინექციო პრეპარატები საჭიროებენ სისუფთავის მაღალ ხარისხს და შესაბამის შესაყვან მოწყობილობას;

***– ხომ არ შეექმნებათ პრობლემები ქრონიკული ან ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებების მქონე პაციენტებს რეცეპტის ამოქმედების შემდეგ?***

– ქრონიკული ან ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში, ექიმს უფლება აქვს, გამოწეროს რეცეპტი ერთ წლის ვადით, ამასთან, რეცეპტის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად, ვიდრე არ ამოიწურება გამოწერილი მედიკამენტების რაოდენობა. ასევე, კონკრეტული მედიკამენტის საჭირო რაოდენობა ერთი ვიზიტის დროს შეიძლება, გამოიწეროს (გადანაწილდეს) არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე რეცეპტის ბლანკზე, რათა ხანგრძლივი დროის განმავლობაში პაციენტს არ დაჭირდეს ექიმთან დამატებითი ვიზიტი, მხოლოდ რეცეპტის გამოწერის მიზნით.

***– დასაშვებია თუ არა, რეცეპტზე გამოწერილი წამალი შეძენილი იქნეს არასრულად (ნაწილნაწილ)?***

– დიახ, რეცეპტი შესაძლოა გამოყენებული იქნეს მრავალჯერადად, რეცეპტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე. პაციენტს შეუძლია ყოველ ვიზიტზე შეიძინოს წამლის სასურველი რაოდენობა.

***– შესაძლებელია თუ არა სასწრაფო სამედიცინო დახარების გამოძახების დროს სსდ ბრიგადის ექიმმა გამოწეროს რეცეპტი?***

– სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის მოვალეობაა პაციენტს ადგილზე გაუწიოს სამედიცინო დახმარება, მათ შორის მედიკამენტოზური და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მისი ჰოსპიტალიზაცია. გამოძახებისას ის არ გამოწერს რეცეპტს!

***– როგორ მოვიქცეთ ზოგიერთი გადაუდებელი შემთხვევისას, თუ არ გაგვაჩნია რეცეპტი?***

– ჩვეულებრივ, სსდ ბრიგადის გამოძახების გარდა, ზოგიერთი გადაუდებელი შემთხვევის დროს (მაგ.: ტკივილი გულის არეში, მაღალი წნევა, ალერგიული რეაქცია, ბრონქული ასთმის შეტევა და სხვა) შეგიძლიათ მიმართოთ უახლოეს აფთიაქს. ყველა აფთიაქს აქვს გადაუდებელი დახმარების მედიკამენტები, რომელთა გაცემა ნებადართულია ურეცეპტოდ, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით (კაპტოპრილი, სალბუტამოლი, დექსამეტაზონი,ნიფედიპინი, გლუკოზა, ინსულინი, ადრენალინი, დიმედროლი, პრედნიზოლონი, მეტოპროლოლი, ფუროსემიდი,ატროპინი, ნიტროგლიცერინი, კეტოროლაკი).

***– როგორ ვიქცევით რეცეპტზე გამოწერილი მედიკამენტის რაოდენობის ამოწურვისას?***

– რეცეპტზე გამოწერილი მედიკამენტის რაოდენობის ამოწურვის შემთხვევაში, რეცეპტის ბლანკი რჩება აფთიაქს,პაციენტი კი მკურნალობის კურსის გაგრძელების შემთხვევაში მიმართავს ოჯახის /სოფლის/ უბნის ექიმს ან იმ ექიმ-სპეციალისტს, რომელიც ახორციელებს მის სამედიცინო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში,უზრუნველყოფს რეცეპტის გამოწერას.

***– განიცდის თუ არა ცვლილებებს რეცეპტით და ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების ნუსხები?***

– მედიკამენტების ნუსხები არ არის მუდმივი (სტატიკური) და პერიოდულად ექვემდებარება გადამოწმებას, რომლის შედეგადაც, გვერდითი ეფექტების შესახებ დაგროვილი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამკურნალო საშუალებების გადატანა ერთიდან მეორე ჯგუფში. მაგალითად: = კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის სამკურნალო პრეპარატები (რანიტიდინი, ომეპრაზოლი, ფამოტიდინი, ესომეპრაზოლი და სხვა) II ჯგუფიდან ამჟამად გადატანილია III ჯგუფში;

= კეტოკონაზოლის (სოკოს საწინააღმდეგო საშუალება), სერიოზული გვერდითი (არასასურველი) ეფექტების გამოვლენის გამო, მისი გარეგანი ფორმები III ჯგუფიდან (ურეცეპტო) გადატანილი იქნა რეცეპტით გასაცემთა ნუსხაში (II ჯგუფი), შიგნით მისაღები (ტაბლეტები, კაფსულები) ფორმები კი საერთოდ ამოღებულია მიმოქცევიდან.

***– რატომ ხვდება ერთი და იგივე დასახელების სამკურნალო საშუალება სხვადასხვა ჯგუფში?***

– რიგ შემთხვევებში, ერთი და იგივე სამკურნალო საშუალება გვხვდება სხვადასხვა ჯგუფში, ვინაიდან განსხვავებულია მათი ფარმაცევტული ფორმები და მიღების გზები. კერძოდ, საინექციო საშუალებები შეტანილია რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების (IIჯგუფი) ნუსხაში, ხოლო შიგნით მისაღები (ტაბლეტი, აბი, კაფსულა) და გარეგანი გამოყენების ფორმები - ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების (III) ჯგუფში (მაგ.: C ვიტამინის, ანალგინის, პარაცეტამოლის, სუპრასტინის, დიკლოფენაკის და სხვათა საინექციო ფორმები გაიცემა რეცეპტით, ხოლო მათი ტაბლეტირებული ფორმები - ურეცეპტოდ).

## ბედნიერი ბავშვობისათვის

# კეთილმოეწყო და გალამაზდა



ელენე სამხთუაშვილი

**გასული** წლის ივნისში ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღში სტუმრობისას ისეთი მდგომარეობა დაგვხვდა, ძნელად თუ წარმოიდგენდა ასეთ ვითარებას კაცი თანამედროვე პირობებში – არ იყო კანალიზაცია, სამზარეულო მოუწესრიგებელი, ეზოში ბავშვებისთვის სათამაშო მოედანი კი არა, სულ უბრალოდ, ხის სკამიც არ მოიძებნებოდა. აღნიშნულ საკითხს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირზე ხშირად აყენებდა სოფლის მაშინდელი რწმუნებული, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას „თავს ხშირად ახსენებდა“ აიპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელი და როგორც იქნა, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სოფელზე გამოყოფილ 5 ათას ლარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 6 ათასი ლარიც დაუმატა და.... ახალ სასწავლო წელს სულ სხვანაირი დახვდა საბავშვო ბაგა-ბაღი (ახლა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებად წოდებული) ნინოწმინდელ პატარებს – აქ მოწესრიგდა სველი წერტილები, საპირფარეშოში დაიგო მეტლახი, გაიკრა კაფელი, სამზარეულოში მეტლახის იატაკია, შეიღება კედლები, აქ მზარეულმა ხათუნა წითურმა სასიამოვნო გარემო შექმნა, ამასთან, სამზარეულო მარაგდება გამდინარე ცივი და ცხელი წყლებით...

ბაგის ასაკის ჯგუფის საძინებელს დაემატა საწოლები, დაწესებულების ოთხივე სააღმზრდელო ჯგუფის პედაგოგებს აქვთ სკამები (და არა ნაჭერგადაფარებული ყუთები), მაგრამ, ამას გარდა , თქვენ დაწესებულების ეზოს კეთილმოწყობა უფრო გაგაკვირვებთ. დიახ, აქ შექმნილი მყუდრო, მაგრამ ამავე დროს სახალისო...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვი-



თარების ცენტრის მიერ ქალთა გაძლიერება-ცვლილებებისათვის პროექტის ფარგლებში სოფელ ნინოწმინდაში გაკეთდა პროექტი „ბედნიერი ბავშვობა“, ხოლო ამ პროექტის ავტორები ნინოწმინდაში მცხოვრები ლიდერი ქალები იყვნენ, რომლებიც ქალთა საინიციატივო ჯგუფში გაერთიანდნენ. მათ თავიანთი რიგებიდან შეარჩიეს ხელმძღვანელი – ელენე სამხთუაშვილი.

როგორც ქ-ნმა ელენემ გვითხრა, – აღნიშნული ცენტრის მიერ შემუშავებული იყო ისეთი გეგმა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყნის მუნიციპალიტეტში მხოლოდ თითო-თითო პროექტი უნდა დაფინანსებულიყო. მაგრამ, ჩვენ სოფელ უდაბნოს საინიციატივო ჯგუფთან ერთად ჩვენი პროექტი გავიტანეთ. გულახდილად გეტყვით, რომ ჩვენ პოზიციებს უდაბნოელებს მთელი გულწრფელობით „ვუთმობდით“, რადგან სოფელი საზღვრისპირაა და მათ მართლაც ესაჭიროებოდათ ახალგაზრდებისათვის გასართობი ცენტრის მოწყობა. მაგრამ მოხდა მართლაც სასწაული და მათ ჩვენი პროექტიც მოეწონათ. მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ულამაზეს ტერიტორიაზეა განთავსებული, შენობა მართლაც რომ კომფორტული გახდება მასში ყველა სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ. ულამაზესი ეზო აქვს, რომელშიც სხვადასხვა ჯიშის ხეებია. ჩვენი პროექტი ისე იყო შედგენილი, რომ აქ, ცარიელ ეზოში ბავშვებს გასართობი და სახალისო გარემო შექმნოდათ. ამიტომაც გაითვალისწინა ცენტრმა ჩვენი არგუმენტები და უდაბნოს ქალთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ პროექტთან ერთად ჩვენმა პროექტმაც მოიპოვა გრანტი – 8 ათასი ლარი. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად საჭირო იყო მასში მთელი სოფლის, მთელი თემის ჩართვა. სოფელში შეგროვდა 3040 ლარი, დანარჩენი კი შრომითი მონაწილეობით უნდა შესრულებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ არნახული სიცხე იყო, რის გამოც ბევრ მათგანს უამრავი საქმე ჰქონდა ვენახსა და მინდორში, ერთი დღე არ გაგვიცდენია უქმად, ამ საქმიანობაში 85-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. აქტიურად დაგვიჭირა მხარი სოფლის მაშინდელმა რწმუნებულმა ელდარ მეფარიძემ თავისი ოჯახის წევრებიანად. ამ პროექტისთვის ჩვენი რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ქვეყნის პარლამენტში თინათინ ხიდაშელმა ბიუროს ხარჯებიდან 1325 ლარი გაიღო.

მუშაობის პროცესში ეზოში არსებული ხეები გავსხალით, გავთიბეთ ეზო, გავასუფთავეთ, თუმცა ამას არ ითვალისწინებდა ჩვენი პროექტი, მაგრამ უამისოდ ვერც ვიმუშავებდით და არც სილამაზე ექნებოდა ბაღს. ჩვენ ლამაზი კედლები გავაკეთეთ, პატარ-პატარა ნაგებობები, სადაც გათვალისწინებული იყო ქართული დარბაზის ქვის წყობა, შიგ ხის სკამები განვათავსეთ ერთ ნაწილში, მეორეში კი საქანელები. გავაკეთეთ სასრიალო, კარუსელი, ფანჩატური – სკამებით. ახლა, ამ დღეებში ნავის ფორმის „აიწონა-დაიწონა“ შემოვიტანეთ, გავაკეთეთ ბაღში გადასაადგილებელი სკამები, შევღებავთ მათ და დავდგამთ ბაღში. გასაკეთებელი გვაქვს



კიდევ ერთი ფანჩატური, სადაც მასწავლებლებს მეცადინეობების ჩატარებაც შეეძლებათ. ამ სათამაშოების ფონზე ერთობ არაესთეტიკურად გამოიყურებოდა ბაღის შენობის გარეკედლები, ამიტომ, ადგილ-ადგილ შელესეს კალატოზებმა და შეალამაზეს.

ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობაში მართლაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. აქ კაპიტალური რემონტია ჩასატარებელი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქალების მიერ მოპოვებული გრანტითა და სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერით ვცდილობთ ბოლომდე მოვაწესრიგოთ ეზო. თანხების უმეტესი ნაწილი სამშენებლო მასალებმა „წაიღო“, თუმცა ბევრმა საკუთარ ეზოში დაგროვილი სამშენებლო ქვა მოიტანა და ხელი მოგვიმართა. ამასთან, პროექტით მხოლოდ კალატოზის ხელფასი იყო გათვალისწინებული, მაგრამ მუშებზეც დაგვჭირდა, რადგან მოხალისე მუშები თავიანთ მეურნეობებს მიუბრუნდნენ, ზოგი სამუშაოს საძებნელად შორს გაემგზავრა...

– წელს 80 ბავშვის მშობელმა შემოიტანა ჩვენთან განცხადება, – მეუბნება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერი მანანა ასრათაშვილი, – თითოეულ ჯგუფში 20 და 20-ზე მეტი აღსაზრდელი გადანაწილდა. სასკოლო ასაკის 25 აღსაზრდელი გვყავს. ახლა რთვლის პერიოდია და ალბათ ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან შემოგვემატებიან კიდევ. ძალიან გახალისდნენ მშობლებიც და აღსაზრდელებიც. ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებმა მოიზიდა ისინი. შიგნით შემოსვლაც აღარ უნდათ – თამაშობენ, ერთობიან, ხალისობენ. მადლობის მეტი რა გვეთქმის ქ-ნი ელენეს, მისი ჯგუფის, მანდილოსნებისა და აქ მომუშავე ადამიანების მიმართ...

ეზოში სასრიალოზე უკვე პირველკლასელი, ბაღის აღზრდილი გიორგი ოკინაშვილი ხალისობს. – მანანა მასწავლებელო, რატომ ჩვენს დროს არ იყო ეს სასრიალო და გასართობებიო? – უცბად გადადის გულდაწყვეტის „ნოტაზე“ გიორგი, თუმცა აქვე იმშვიდებს გულს – ელენე დეიდამ გვითხრა, საბავშვო ბაღის ყოფილ აღსაზრდელებსაც შეგიძლიათ აქ მოსვლა, ოღონდ პირველი, მეორე, მესამე-მეოთხე კლასელებსო... ეს ხომ ბედნიერი ბავშვობისათვის არისო.



## სოხუმის დაცემიდან და აფხაზეთის დაკარგვიდან 21 ტკივილიანი წელი გავიდა

### სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეწირული

### გარეჯელი რამაზ ჭიკარტაძე

**საგარეჯოში** დაიბადა. ბედმა უმამოდ გაზრდა არგუნა. მარტოხელა დედა თინა ოქრუაშვილი ზრდიდა, რომელიც ამ მძიმე ხვედრში არანაკლებ დიდ მხარდაჭერას უფროსი დისგან – ნათელასგან გრძნობდა. მამამ გვარი აჩუქა მხოლოდ. ისე იზრდებოდა, ვერც ნახულობდნენ ერთმანეთს ერთი მიწა-წყლისანი. ყველას მამა ჰყავსო და თვითონაც ერთი ქუთაისელი კაცი მოეწონა და დედას ოჯახის ახლიდან შექმნაზე აფიქრებინა ჯერ კიდევ პატარამ. შემდეგ დედა და მისი მეუღლე პატარა ძმასთან ერთად ქუთაისში გადავიდნენ, თავად დეიდა ნათელასა და დეიდაშვილ თამაზისთან დარჩა – ისიც უმამოდ იზრდებოდა და ბიჭები ისე უგებდნენ ერთმანეთს , როგორც ტყუპი ძმები...

დრო გავიდა. სკოლის დამთავრების შემდეგ შეხვდა მამას, მაგრამ იმხელა სიცივე და დიდი მანძილი იყო, მხოლოდ ბიძებთანღა გააგრძელა ნაცნობ-მეგობრობა.

20 წლის იყო, ომი რომ დაიწყო აფხაზეთში. არც დედას დაეკითხა, არც მამის შემცვლელს, ისე წავიდა ომში. წავიდა სამშობლოზე შეყვარებული, „ვეფხისტყაოსანზე“, ილიასა და ვაჟას ნააზრევზე გაზრდილი ბიჭი... წავიდა და ისევ 20 წლისა დარჩა საგარეჯოელთა ხსოვნაში...

სწორედ რამაზის ლამაზი და ვაჟკაცური სიცოცხლის ბოლო დღეებს იხსენებს ***მანაველი ოთარ ღვთისავრიშვილი:***

***– 1992 წლის ოქტომბერში საგარეჯოს რაიონში შეიქმნა ოცკაციანი ჯგუფი, რომელშიც რაიონის პროკურატურის თანამშრომლები, დღევანდელი პარლამენტის წევრი გიგლა აგულაშვილი, საგარეჯოს რაისავადმყოფოს მაშინდელი მთავარი ექიმი თამაზ გრიგოლაშვილი, საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის მაშინდელი დირექტორი ვოვა მათიაშვილი და სხვები იყვნენ. გასვლის დრო იყო, როცა რამაზი მოვიდა, ორიოდე წუთით სახლში შევირბენო, ითხოვა, თურმე იქვე კორპუსში ცხოვრობდა. დრო გადიოდა, ის კი იგვიანებდა. ის იყო რაიონის ხელმძღვანელმა გასვლის განკარგულება გასცა და რამაზმაც მოირბინა. ნეტავ დაეგვიანა...***

***რამაზი მგზავრობისას და სოხუმის აეროპორტის ახლომდებარე შენობაში საგარეჯოს რაიონის რეზერვისტების მიერ სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე გავიცანი – გულღია, ალალი, წესიერი ახალგაზრდა ჩანდა – კომუნიკაბელური, თბილი, საქართველოზე შეყვარებული. სტკიოდა აფხაზეთიც და სამაჩაბლოც...***

***მეორე დღეს ავტომანქანებით ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში წაგვიყვანეს, სადაც საგარეჯოელები უნდა შეგვეცვალა. სოფელი ზღვისპირასაა, მდინარე ტამიშში ჩამოუდის და სოხუმი-ოჩამჩირის მთავარ გზატკეცილზეა. ეს სოფელი გუმისთის შემდეგ ყველაზე ცხელი წერტილი იყო აფხაზეთში... ნაწილი საგარეჯოელებისა წამოვიდნენ სახლში, ნაწილი ჩვენთან დარჩა. ჩვენ წინასწარ გათხრილ სამ სანგარში განვთავსდით. მორიგეობა 2-2 კაცს ევალებოდა. ჩვენი ჩასვლიდან მესამე დღეა და საშიშროება ოთხივე მხრიდან გაძლიერდა. განსაკუთრებით დიდი საშიშროება გველოდა ჩრდილოეთიდან – სომხებით დასახლებულ სოფელ ლაბრადან. ჩვენი მებრძოლები იქ დაზვერვას აწარმოებდნენ, რათა თავიდან აგვეცილებინა მტრის მოულოდნელი თავდასხმა. ერთ-ერთი დაზვერვითი ჯგუფის გასვლისას რამაზი შეეხვეწა, მეც წამიყვანეთო. უარი მიიღო – ახალი ჩამოსული ხარ და ჯერ სანგრის გარშემო იმორიგევეო. რამაზმაც არ დათმო. მაშინ უბრძანეს – რაციასთან ემორიგევა და ოჩამჩირესთან კავშირი არ გაეწყვიტა. რამაზი ჯიუტად იმეორებდა – მე აქ საომრად ვარ ჩამოსული და არა სათამაშოდო. წამსვლელ ჯგუფს ისე მოაბეზრა თავი, წასვლაზე დაითანხმა ისინი. მათი წასვლიდან მცირე ხანში ლაბრადან საშინელი ტყვიის წვიმა წამოვიდა. მალე დაზვერვის ბიჭები მოვიდნენ და დახმარება ითხოვეს – რამაზ ჭიკარტაძე მოგვიკლეს და გია ბედიაშვილი დაგვიჭრეს, მოგვეხმარეთ მათ გამოყვანაშიო. რა მოხდა არ ვიცი, ვინ რას ვაკეთებდით, არ ვიცი. ერთი ტანკისტი იყო თბილისელი, თუ არა მისი გმირობა, იმ ტყვიის თავსხმასა და არეულობაში ჩვენ რამაზის ცხედარიც დაკარგული გვექნებოდა და არც ჩვენ დაგვადგებოდა კარგი დღე. მტერმა ჩრდილოეთისკენ დაიხია. ოჩამჩირიდან მოსული საბრძოლო ტექნიკა დიდხანს „ამუშავებდა“ ტამიშილაბრის გზას, სოფელს, თითქოს რამაზის ლამაზ სხეულს საგარეჯოსკენ ზალპით აცილებდა...***

მას შემდეგ 22 წელი სრულდება, ოქტომბერში... 22 წელია რამაზი საგარეჯოში, „ფანოზიანთ გორაზე“ განისვენებს – სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, საგარეჯოელების წინაშე პირნათელი – უშვილძიროდ იმქვეყნად გადასული კაცური კაცი, მაგრამ მისი მოსახელე იზრდება – მისი დეიდაშვილის თამაზის ვაჟი – პატარა რამაზი, რომლის დანახვაც საგარეჯოელებს შეგვახსენებს, რომ მასში გრძელდება რამაზ ჭიკარტაძის სიცოცხლე, რომელსაც წელს 42 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ 20 წლისად დარჩა.

არდავიწყება რამაზ ჭიკარტაძესთან ერთად წასულ ბიჭებს აფხაზეთისთვის თავგანწირულთ:

**პახა ბიქორაშვილს**
**ვაჟა ქიტიაშვილს**
**დავით ჩობალაურს**
**მამუკა ხატისაშვილს**
**სოსო ჩოკოშვილს**
**მიხეილ (ძელო) ჭინჭარაულს**
**ბადრი მჭედლიშვილს**
**ზურაბ ფეიქრიშვილს**
**ვახტანგ თედიაშვილს**
**დავით კვეზერელს**
**გელა შაქარაშვილს**
**ბაქარ სულხანიშვილს!**

## სპორტი



**16-20 აგვისტოს** ჩინეთში ქალაქ ნანძინში ჩატარდა მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო (81 კგ წონით კატეგორიაში) ჩვენმა თანამემამულემ **თამაზ კირაკოზაშვილმა**. მან დაიკავა II ადგილი და მხოლოდ ფინალში დამარცხდა რუს მიხეილ იგოლნიკოვთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან მხოლოდ თამაზს ჰქონდა ამ თამაშებში მონაწილეობის უფლება.

**18-21 სექტემბერს** რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში ჩატარდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო კობა მჭედლიშვილმა (73კგ წონითი კატეგორია) და დაიკავა I ადგილი.

ამა წლის 21-26 ოქტომბერს თამაზი და კობა მონაწილეობას მიიღებენ ამერიკაში ქალაქ მაიამიში ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის.

## კვლავ გამარჯვებები



**19-21 სექტემბერს** ქ. ხაშურში ვახტანგ კვინიკაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის თავისუფალი ჭიდაობის გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა 23 კგ-ში თორნიკე ასაბაშვილმა, რომელმაც ოთხი შეხვედრა ჩაატარა დაუმარცხებლად. პირველ შეხვედრაში ხაშურის წარმომადგენელს სძლია. მეორე შეხვედრაზე სომხეთის წარმომადგენელს, ნახევარფინალში – აზერბაიჯანელს, ხოლო ფინალში თავისივე გუნდის წევრ შალვა გულისაშვილს და დაიკავა I ადგილი.

46 კგ წონით კატეგორიაში დავით კუჭუაშვილმა პირველ შეხვედრაში სძლია სომხეთის წარმომადგენელს, მეორე შეხვედრაზე კი საგარეჯოელ ბაჩო ქვლივიძეს, ხოლო ფინალში თურქეთის წარმომადგენელს და დაიკავა I ადგილი.

ასევე საპრიზო ადგილები დაიკავეს საგარეჯოელებმა:

23 კგ წონით კატეგორიაში შალვა გულისაშვილმა II ადგილი;

46 კგ წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავეს ბაჩო ქვლივიძემ; 63 კგ წონით კატეგორიაში – დავით მარტაშვილმა; 76 კგ წონით კატეგორიაში გიგა შიოშვილმა.

## ის ჩვენი თანამემამულეა
# მანავის სიამაყე

**ნიკო ბიუაშვილი** დაიბადა და გაიზარდა საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში. სკოლის პერიოდში დაებადა იდეა, რომ სამედიცინოზე ჩაებარებინა, მართლაც გადაწყვეტილებას არ უღალატა და სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მან სოფლიდან წაიღო ის სითბო და სიყვარული ხალხისადმი, რაც მის არჩეულ პროფესიას დაეხმარებოდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ამავე ქალაქში დაიწყო მუშაობა. თავის პროფესიაზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ ბრწყინვალედ გაართვა თავი თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. ნიკო ექიმი ბოლომდე დნება ავადმყოფის წინაშე, როგორც მთიდან ჩამოტანილი ყინულის ლოდი ბარში. მან კარგად იცის გონების ნაყოფი თუკი გულის ქურაში არ გაივლის, ისე არაფერ სიკეთეს არ მოიტანს ადამიანისათვის.



იგი მრავალი წელი ემსახურებიოდა ქალაქ თბილისის მოსახლეობას, შემდეგ კი თავის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, სოფელმა გაიხარა, არა მარტო მანავის, არამედ მეზობელი სოფლის მოსახლეობამაც – ვისაც კი შეხება ჰქონდა ნიკო ექიმთან. დღესაც დაუღალავად ემსახურება მოსახლეობას, მაშინაც კი, როცა სამსახურიდან დაბრუნებულს ფიზიკურად დასვენება სჭირდება, მას კი კართან გაჭირვებული ავადმყოფი ელოდება, ექიმი არ შეიტყობს დაღლას. ის დიდი ადამიანი და პიროვნებაა. ეს კარგად იცის მასთან მისულმა ავადმყოფმა. პაციენტში ეძებს იმ კუთხეს, რომ შეუმსუბუქოს ის ტკივილი, რაც გააჩნია ექიმთან მისვლის დროს.

მინდა დაუსრულებლად ვწერო ჩვენს ექიმზე. ის არის საუბრითაც მკურნალი და საქმითაც. მისი დასმული დიაგნოზი უტყუარია და ხალხიც მადლიერია. ვინ იცის, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა ბინაზე მისულ პაციენტს სურვილი აქვს პატივი სცეს გულისხმიერ ექიმს და ამ სახით გამოხატოს მისდამი მადლიერება. ექიმი ფეხზე წამოდგება, ხელზე ხელს შეგაშველებთ და ზრდილობიანად მოგმართავთ – ამ შემოთავაზებით თქვენთვის წამალი შეიძინეთ, ესაა ჩემი პატივისცემაო. ასეთი ექიმი დღევანდელი გადმოსახედიდან არ მეგულება და ალბათ სანთლით საძებარია და ვერც იპოვით.



მანავის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა დაუჭირა მხარი, ანდო სოფლის მომავალი – კარგად იციან, თავის სამართლიანობით, პრინციპულობით, კაცთმოყვარეობით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ყურამდე და გულამდე მიიტანს სოფლის გასაჭირს და იბრძოლებს პრობლემების მოსაგვარებლად.

ჩვენ კი სურათი მაშინ გადავუღეთ ბ-ნ ნიკოს, როცა მასთან მიღებაზე იყო მისი პირველი პაციენტი – შალვა ათუაშვილი. ბ-ნმა ნიკომ ხომ 45 წლის წინ სოფელ კაკაბეთიდან დაიწყო თავისი საექიმო მოღვაწეობა. დღეს ნიკო ექიმი ბ-ნი შალვას ოჯახის მეოთხე თაობის ექიმიცაა.

მე, როგორც ერთს, მრავალთა შორის, მართლაც სოფლის სიამაყეს – ნიკო ექიმს მინდა ვუსურვო დიდხანს, დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელიც ასე უანგაროდ ემსახურება, განურჩევლად ეროვნებისა გაჭირვებულ ხალხს.

*ელიკო წიკლაური-ბორაშვილი*

***სოფელი მანავი***

**რედაქციისაგან**: დღეს ბ-ნი ნიკო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატია. მას თვითმმართველობის არჩევნებზე

## სიხარულის გაზიარებანი
# „კარგი შვილი დედის გულის ვარდია“-ო

**ჩემი** უმცროსი ვაჟიშვილი თორნიკე ვაჭრიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის წევრი, 2014 წლის 13 ივლისს სტუდენტური გაცვლითი პროგრამით გაემგზავრა გერმანიაში, ქ. შტუტგარტში, თავის თანატოლებთან ერთად. გერმანია მისი მეორე სამშობლოა, ქვეყანა, რომელმაც ბედნიერი ბავშვობა და ლამაზი სიცოცხლე აჩუქა. 14 აგვისტოს თორნიკემ ფოტოსურათი გამოგვიგზავნა, რომლის ნახვის შემდეგ ჩემმა გულმა „ტეხვა“ დაიწყო დიდი სიხარულის გამო. სწორედ ეს სიხარული მინდა ახლა გაგიზიაროთ. 1 თვის განმავლობაში გაცნობილმა და დამეგობრებულმა გერმანელმა ბიჭმა ჩემი თორნიკეს მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად თავისი საცხოვრებელი სახლის აივანზე საქართველოს დროშა ააფრიალა.

ჯემალ ჯანდიერის ლექსის სტრიქონი გამახსენდა: „არაფერია აქ ახალი, ამ ცისქვეშეთში,/ ახალი ჰქვია, ძველს რომ კარგად გადავივიწყებთ.“ მეც ძველს გავიხსენებ.



1945 წლის 9 მაისს ბერლინში, რაიხსტაგზე ქართველმა ჯარისკაცმა მელიტონ ქანთარიამ ფაშიზმზე გამარჯვების ნიშნად საბჭოთა კავშირის დროშა ააფრიალა. 69 წლის შემდეგ კი გერმანიაში გერმანელმა ბიჭმა ახლად შეძენილი ქართველი მეგობრის სიყვარულის გამო, საქართველოს დროშა ააფრიალა. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“-ო ქართველ კაცს მართალი უთქვამს.

ჩემო თორნიკე – დედის მუცლიდან თანდაყოლილი ღირსებებით, უმოკლესი დროის მონაკვეთში (25 დღე) შეძელი საქართველოს ღირსეულად წარმოჩენა შორეულ გერმანიაში. ყოჩაღ, შვილო! წრფელი სიყვარულით შექმნილი ყველაფერი მარადიულია, ეს ჩემგან გახსოვდეს მუდამ. გენაცვალოს დედა, დიდი მადლობა, შვილო, ასეთი დიდი სიხარულის გრძნობა რომ განმაცდევინე.

ჩემი უფროსი ვაჟიშვილიც გიორგი, გერმანიაში იღებს უმაღლეს განათლებას, პარალელურად გერმანიის საფეხბურთო გუნდის ფეხბურთელია. მკაცრი გერმანული რეჟიმის გამო მათ თავისუფალი დროის დეფიციტი აქვთ, რის გამოც ხშირად ვერ ნახულობენ ძმები ერთმანეთს, თანაც 300 კმ აშორებთ ერთმანეთს. ღვთის წყალობა ულევი ყოფილიყოს თქვენთვის, ჩემო ვაჟკაცებო, შორეულ გერმანიაში.

როგორც ფეხბურთელის დედა, რეზიუმეს საფეხბურთო სიმღერის სტრიქონით გავაკეთებ:

„სულ პატარა სიხარულით, სულ პატარა სიყვარულით, მზე ჩამოდის ციდანო,

საქართველოს სადიდებლად, გამარჯვება, გამარჯვება, ბიჭებო, ბიჭებო“...

მიყვარხართ და მენატრებით ჩემო ვაჟკაცებო.

*მეგი ნონეშვილი*

***მანავი***



**დაბადების** დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის გულშემატკივარსა და მუდამ ჩვენს გვერდით მყოფს თავისი ნიჭითა და უნარით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველს გენდერულ საკითხებში **თამარ ურდულაშვილს.**

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, კვლავაც გამარჯვებებს ცხოვრებისეულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში შენეული შემართებით და სამართლიანი პრინციპულობით.

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია*

**დაბადების** დღეს ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს, გაერთიანების მთავარ სპეციალისტს, მოჭიდავეს და მწვრთნელს, არაერთი სპორტსმენის აღმზრდელს **თემურ კურდღელაშვილს.**



ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კვლავაც დიდ წარმატებებს.

*აიპ საგარეჯოს „სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები*

# მილოცვა



**დაბადებიდან** 60 წლის შესრულებას და რაიონის სამელიორაციო სამსახურში კეთილსინდისიერად 40 წლიანი მუშაობის სტაჟის შესრულებას ვულოცავთ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის ქვემო სამგორის სისტემური სამმართველოს“ მთავარ ინჟინერს **თემურ ბრატიაშვილს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და სიხარულს თავის ოჯახთან ერთად.

*მეგობრები*

## მზევინარ (ლამარა) ჯაჭვლიან-კვანჭიანს



**დაბადების** დღეს გილოცავთ ჩემო მზევინარ, საქართველოსა და უდაბნოზე ტკივილებამდე შეყვარებულო, სამართლიანობის მეციხოვნევ და შენი სოფლის დიდო გულშემატკივარო. დღეს შენი სოხუმი და აფხაზეთი გტკივა, ამ ტკივილებსა და მონატრებაში გაატარე ყველაზე ლამაზი ორი ათეული წელი. ამ მონატრებასა და სიყვარულში აღუზარდეთ საქართველოს ოთხი ღირსეული შვილი შენ და შენმა ამირანმა. გილოცავთ, სიცოცხლის ამ 5 ათეული წლის ღირსეულად გატარებას, ღმერთმა დაგლოცოს შენს ლამაზ შვილებთან, შვილიშვილებთან და შენს მეუღლესთან ერთად, გაგაძლიეროს და ის ტკივილები დაგიყუჩოს, რასაც აფხაზეთის მონატრება და უდაბნოს დღევანდელი გასაჭირი ჰქვია.

*თინა ილაური*

## მადლობა

**მადლობას** ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს, პირადად გამგებელს ბ-ნ **გიორგი გზირიშვილს,** გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის, საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურებს, შესყიდვების განყოფილების თანამშრომლებს ჩვენი ქუჩის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებისათვის. კონკრეტულად, შეგვიძინეს ტუმბო, გარეცხეს და გაწმინდეს ჭაბურღილი.

***საგარეჯოს მშვიდობის ქუჩის მოსახლეობის სახელით***

*ოთარ მურჯიკნელი*

# ხსოვნა
## თამარ კოხტაშვილი-ილაური



„**სანამ** დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ლაღობ, ვერ გრძნობ სიკვდილის მზერას, რადგან დედაა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის, თავისი სუსტი ბეჭებით სიკვდილს ეღობება და მისი მწველი მზერისგან გიფარავს, თვითონ იწვის სიკვდილის ალმოდებულ მზერაში. წავა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით წამოგვარდება, მოსვენებას დაგიკარგავს, სილაღეს ჩაგიკლავს და თან გეშინია, თან იმას ცდილობ ახლა შენ აეფარო ბეჭებით შენს შვილებს“... ვკითხულობ გოდერძი ჩოხელის „ანგელოზთღამეობას“ და ვგრძნობ, როგორ დაგვასწრო ასე ლამაზად თქმაში და გვაჯობა ყველას ბურსაჭირის ჭალებში გაზრდილმა, ბუნების მესაიდუმლემ ყველას, ყველას, ვისაც დედა ისე გვენატრება, რომ „შენს თავსაც კი არ უმხელ, ისე იძინებ იმ სურვილით, რომ იქნებ სიზმარში ნახო დედა, იქნებ სიზმარში მაინც განმეორდეს ის საოცარი იმედიანი მოფერება, ადამიანის ხელიდან სიმარტოვესაც რომ აფრთხობს და არარაობის განცდასაც, სამაგიეროდ კი ხალისითა და იმედით გავსებს“.

დიახ, ორი წელიწადია შენი სუსტი ბეჭებით ვეღარ მიცავ სიკვდილის საშინელი მზერისგან, დედა. ორი წელიწადია ისეთი ტკივილით მენატრები, მხოლოდ ჩემმა ცრემლებმა თუ იციან მისი სიმძიმე. ორი წელიწადია აღარ მომისმენია შენი ხმა: „მოხვედი, შვილო, დედა გენაცვალოსო“. მენატრება შენი ხმა, დედა. „დედის ხმა იგივე ჯავშანია, ცეცხლში შეხვალ და გამოხვალ, წამწამი არ შეგეტრუსება, წყალზე გაგატარებს, ბეწვის ხიდზე გადაგიყვანს. ამ ხმის წყალობაა, როცა უნდა მაშინ რომ ანგრევს არარაობის წყვდიადიდან პირველი წამით აბჭყვრიალებული, პირველი ხმებით აჟივჟივებული, პირველი ხმებით მოხატული ქვეყანა“ – ვკითხულობ ოთარ ჭილაძის „მარტის მამალში“.

მოვიდოდი, დაგიძახებდი, „დედა, მოვედი“ და შენი ხმის გაგონებისას სადღაც იკარგებოდა ჩემი 50 წელი, 5 წლის ვხდებოდი სიხარულით, დედა! ახლა? ახლა 100 წლის მგონია ჩემი თავი უშენოდ, დედა! გაუფერულდა ყველაფერი, მაგრამ ახლა მეც ვგრძნობ ჩემს პასუხისმგებლობას, დედა. ახლა მე ვასრულებ დედის მოვალეობას ბუნებისგან დაწესებულს, ახლა მე ვცდილობ ჩემი ბეჭებით გადავეღობო ყოველივე საშინელს, დავიცვა ჩემი შვილები მისი მწველი მზერისაგან, ვცდილობ ჩემი ხმით გავამხნევო შვილები, ჯავშნად ვიქცე. ეს ყველაფერი და სხვაც ბევრი რამ ხომ შენგან ვისწავლე, ჩემო კარგო და ტკბილო! მენატრები, მაგრამ მინდა ეს მონატრება დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს, რომ ჩემი შვილებისათვის დიდხანს ვიყო მეც ფარი და მახვილი, ჯავშანი და რკინის პერანგი.

ნათელში ამყოფოს შენი სული ჩემო საყვარელო, სათნო და კეთილო, ქართველი ქალის ყველანაირი ხიბლით შემკულო. მადლობელი ვარ ყველაფრისათვის.

*შენი თინა (თანგული)*

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru